ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს

№12 (1522) 13–15 თებერვალი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## დავარისხოთ განგაშის ზარები!!!

სულ რაღაც სამწელიწადნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც აფხაზეთი ჩამოგლიჯეს დედა საქართველოს. ამ მცირე დროის განმავლობაში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკვე შეჰგუებია იმ აზრს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა ჩვენი უპირველესი საზრუნავი არ არის.

აი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის შედეგი...

გამოკითხვის შედეგების თანახმად საქართველოს მოსახლეობას ამჟამად ყველაზე მეტად აღელვებს შემდეგი პრობლემები:

1. სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები – 33 პროცენტი;
2. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა – 19 პროცენტი;
3. ენერგოკრიზისი – 17 პროცენტი;
4. უმუშევრობა – 16 პროცენტი;
5. დამნაშავეობა – 5 პროცენტი;
6. ნარკომანია – 5 პროცენტი;
7. საერთო პოლიტიკური ვითარება – 4 პროცენტი;
8. სხვა – 1 პროცენტი.

## ნუგზარ ფოფხაძე: დარბაზი ლამის დაინგრა ტაშით „ლონისძიებათა გეგმის“ იმ პუნქტის გამოქვეყნების შემდეგ, არაფორმალთა სამართალში სავარაუდო მიცემას რომ გულისხმობდა

მეორე გვერდი

## „დოქსოპულოების“ პარტია ნატოს წინააღმდეგ (?)..

გუშინ, საქართველოს იდეოლოგიის პარტიამ მიმართვა გაუგზავნა ჩვენს ქვეყანაში ვიზიტად მყოფ ნატო-ს გენერალურ. მდივანს ხავიერ სოლანას. მიმართვაში ნათქვამია, რომ საქართველოში არსებობენ ძალები, რომლებიც მხარს არ უჭერენ ნატოს გაფართოებას აღმოსავლეთში. პარტია წინააღმდეგია ნატო-ს გაფართოებისა კავკასიის რეგიონში, კერძოდ, საქართველოში და უკმაყოფილებას გამოთქვამს ნატო-სთან ყოველგვარი თანამშრომლობით. მიმართვის ავტორთა აზრით, ეს გამოიწვევს საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სრულ დაკარგვას. პარტია მხარს უჭერს საქართველოდან უცხო ჯარების გაყვანას, მაგრამ წინააღმდეგია იმისა, რომ რუსეთის ჯარები ნატო-ს ჯარებმა შეცვალონ. „საქართველოში ქართული ეროვნული ჯარები უნდა იდგნენ და საქართველოს ნატო-ში შესვლა-არშესვლის საკითხი არა ცალკეულმა პირებმა, არამედ საერთო სახალხო რეფერენდუმმა უნდა გადაწყვიტოს“ – ნათქვამია მიმართვაში. (იფრინდა)

## XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის მიხეილ ჯავახიშვილი

მეხუთე გვერდი

## „დუელიანტები“ პარასკევამდე დაშორდნენ ერთმანეთს

მეხუთე გვერდი

## მამუკა გიორგაძე: ქვეყანა კორუფციასთან ბრძოლას აცხადებს 25 ლარიანი პროკურორებით და 50 ლარიანი პოლიციელებით...

მეექვსე გვერდი

## ლატარია «დაბადების დღე» 12 თებერვლის შედეგები

## რა, როდის და რომელ არხზე

მეშვიდე გვერდი

**გაზეთ „საქართველოს“ შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 15 თებერვალს**

# ვინ იყო ვინ

## მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

## ნუგზარ ფოფხაძე:

# დარბაზი ლამის დაინგრა ტაშით „ღონისძიებათა გეგმის" იმ პუნქტის გამოქვეყნების შემდეგ, არაფორმალთა სამართალში სავარაუდო მიცემას რომ გულისხმობდა

გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ „საქართველო" №70,71,72, 1996 წ. №1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11 1997 წ.

**–დიდის ხმები, და ეს ბატონმა ჯუმბერმაც არ უარყო, რომ 9 აპრილის ხოცვა-ჟლეტის დროს იგი ხალხში გასვლას ცდილობდა, მაგრამ არ ურჩიეს. მართალია თუ არა ეს და თქვენ ვალდებული იყავით თუ არა ზუსტად გათვლილი რჩევები მიგეცათ?**

–ეს შეკითხვაც სამ ნაწილად დაყოფას ითხოვს–პასუხი გასაცემია: ჯერ ერთი, იმაზე, მართლა აპირებდა თუ არა ხალხში გასვლას „9 აპრილის ხოცვა-ჟლეტის დროს"? მეორე, საერთოდ ცდილობდა თუ არა ცკ-ს პირველი მდივანი მომიტინგეებთან და მათ ლიდერებთან დიალოგს, მოლაპარაკებას, კონტაქტს? და მესამე, ვალდებული ვიყავი თუ არა, თქვენი სიტყვებით რომ ვთქვა, მიმეცა „ზუსტად გათვლილი რჩევები"?

მათზე პასუხის გასაცემად მიუკერძოებლად უნდა მოვიხმო იმ პერიოდში ჩვენი ქმედების ობიექტური თუ სუბიექტური ხასიათის ფაქტები.

მსგავსი იყო კითხვა, რომელიც თქვენ პატიაშვილს დაუსვით: *„ფაქტია თუ მითი ის, რომ თქვენ 9 აპრილის ღამეს ცდილობდით მომიტინგეებთან გასვლას და ეს არ დაგანებეს, რომ შემოგახიეს პიჯაკიც კი. თუ მართალია, რას ნიშნავს, რატომ გააკეთეს და ვინ გააკეთა ეს, რა მოტივით. თუ ტყუილია, მაშინ რა ხდებოდა სინამდვილეში შიგნით, თქვენს კაბინეტში?"* პატიაშვილმა თავი აარიდა „წვრილმანებსა" და „დეტალებს" და ამ კითხვას, როგორც სოლიდურ მოღვაწეს შეეფერება, ზოგადად უპასუხა: „ასეთი მცდელობა ნამდვილად მქონდა, მაგრამ ცკ-ს ბიუროს წევრები და შესაბამისი უწყების ხელმძღვანელები *სასტიკი წინააღმდეგი* იყვნენ მოედანზე ჩემი გასვლის და მომიტინგეებთან შეხვედრისა... ერთის მხრივ ამ შეხვედრის სურვილის არარსებობა მიტინგის ხელმძღვანელებისაგან, მეორეს მხრივ ცკ-ს ბიუროს წევრების *ერთსულოვანი წინააღმდეგობა* კიდევ უფრო გაამწვავებდა არსებულ ვითარებასო"

პატიაშვილი არ აზუსტებს, თუ რას ნიშნავს ფრაზა *„სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ"*, რით გამოიხატებოდა ეს–იარაღით ხელში წინ აღუდგნენ, მართლა პიჯაკი ჩამოახიეს, კარი ჩაუკეტეს, ვინმე თავს მოიკლავდა, თუ პირველი მდივანი მაინც გადაწყვეტდა მიტინგზე ჩასვლას?.. ასევე, მაშინაც, როცა ბიუროს ორი წევრის პოზიცია არ ეთანხმება დანარჩენებისას, მაინც უნდა მივაწვეთ *„ერთსულოვნების"* ფრაზას, თუ არა?

არადა, ასეთი პასუხით პატიაშვილი ირიბად ადასტურებს მითს, თანაც გამოკვეთით, ორჯერ, თითქოს „სასტიკი" და "ერთსულოვანი წინააღმდეგობით" იგი 9 აპრილის ღამეს მოედანზე არ გაუშვეს.

ასეთი პასუხი კომენტარს ითხოვს, მით უმეტეს ჩემგან, თუნდაც იმიტომ, რომ ეს მითი, მაშინდელ უმძიმეს დღეებში, პატიაშვილისა და მისი გარემოცვის წყალობით (და ამისი არაერთი მოწმე არსებობს) უშუალოდ დაუკავშირდა ჩემს პერსონას. მომიტინგეებთან მისვლის მომხრე-მოწინააღმდეგეთა ვითომდა გაწევ-გამოწევისა და ლამის პიჯაკის ჩამოხევის ფოლკლორული ვერსია, რომელმაც არათუ „პიკანტური", არამედ პრინციპული პოლიტიკური მნიშვნელობაც შეიძინა, პრეზიდენტობის კანდიდატმა პატიაშვილმა და მისმა გუნდმა ოსტატურად გამოიყენეს საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის დროს.

*ჯერ ვუპასუხოთ კითხვას, უნდოდა თუ არა პატიაშვილს ხალხში გასვლა 9 აპრილის ხოცვა-ჟლეტის დროს?*

ვთქვათ და უნდოდა–ვისთან უნდა მისულიყო იმ ავბედით და სისასტიკით აღსავსე ღამეს პატიაშვილი–იმათთან, ვისაც „დამსჯელი რაზმი" შეუსია? როდის უნდა მისულიყო–„ხოცვა-ჟლეტის" დროს თუ მანამდე?

ჭეშმარიტებასთან მწყრალადაა პატიაშვილი, თუ ამბობს, 9 აპრილის ღამეს „ნამდვილად მქონდაო მომიტინგეებთან გასვლის მცდელობა." ერთი კაცი მაინც თუ არის რეალურად პატიაშვილის ასეთი სურვილის მოწმე, ვინმესთან თუ წამოსცდა ეს, ანდა– როდის? ერთი პაწია ფაქტით მაინც თუ დასტურდება რეალურად ეს? მე კი დარწმუნებული



ვარ, 8 აპრილის აქტივის კრების შემდეგ, მას საქმით, პრაქტიკულად ამისი მისხალი მცდელობაც კი არ ჰქონია. უფრო მეტიც, *წარმოუდგენელია* ჰქონოდა.

რატომ?

ჯერ ერთი, 1988 წლის ნოემბრის ცნობილი „შიმშილობის" აქციის შემდეგ, 1988 წლის 3 დეკემბრიდან, კალინინის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე მოსკოვიდან წინა ღამით დაბრუნებული პატიაშვილის აგრესიული საპროგრამო გამოსვლის შემდეგ, მისი დამოკიდებულება არაფორმალურ გაერთიანებებთან და სტუდენტობასთან დიალოგისადმი პრინციპულად შეიცვალა. ცალკეული ფაქტები გამონაკლისია, რადგან ოფიციალური კურსის განხორციელებისას პრიორიტეტი ძალისმიერ მეთოდებს მიეცა.

ოპოზიციას უამრავი მაგალითი ჰქონდა იმისა, რომ უშუალოდ პატიაშვილის მითითებით დაარბიეს არაერთი მიტინგი და დემონსტრაცია. ამიტომ მისადმი, როგორც დიალოგის მომხრისადმი, ნდობა აშკარად შერყეული იყო.

მეორე, 7 აპრილის ნაშუადღევიდან „ბარიკადების ორივე მხარეს", როგორც სჩანს, გაიმარჯვა რადიკალური დაპირისპირების იდეამ. ცკ-ს უმაღლესმა ხელმძღვანელობამ თავისთვის უკვე მტკიცედ გადაწყვიტა ძალის გამოყენებით მომიტინგეთაგან რუსთაველის პროსპექტის განთავისუფლება და არაფორმალთა ლიდერების ნეიტრალიზაცია (ეს ქვემოთ დამტკიცდება არაერთი ფაქტით თუ დოკუმენტით), ხოლო ამ უკანასკნელებმა, თავის მხრივ კატეგორიულად უარყვეს „მარიონეტულ მთავრობასთან" შეხვედრის წინადადება და მოითხოვეს კრემლთან უშუალო მოლაპარაკება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმომადგენლის მეთვალყურეობით.

ამ ვითარებაში, გარეგნულად, ფორმალურად, კონტაქტების ცდები კი იყო, მაგრამ უკვე ფიქრიც კი ჭირდა რაიმე რეალურ და გულწრფელ დიალოგზე. პოლიტიკური დუღილის ტემპერატურამ იმ წერტილს მიაღწია, როცა თერაპიის („დიალოგის") ნაცვლად ქირურგიული ჩარევა („მოლაპარაკება") თუ უშველიდა საქმეს. ეს იდეა უკვე ტრიალებდა, 8 აპრილის აქტივზე გამოსვლისას გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქტორმა ა.სილაგაძემ ხმამაღლა და პირდაპირ თქვა, მომიტინგეებთან დიალოგი აღარ არის საკმარისი, აუცილებელია მოლაპარაკებაო. ე.ი. შეიქმნა ისეთი ვითარება, როცა კრიზისული მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი შეიძლებოდა მონახულიყო ასევე ერთადერთ ვარიანტში–დაპირისპირებულ „თანაბარ"(!) მხარეთა პოლიტიკურ მოლაპარაკება–შეთანხმებაში. ეს უკვე ოპოზიციის პრაქტიკული გამარჯვება იქნებოდა. და არა მარტო მისი, ეგებ, მთელი საზოგადოებისაც. მათ შორის, მრავალრიცხოვანი კომპარტიისა, რომელშიაც გაერთიანებული იყო მოსახლეობის დიდი ნაწილი, ვეებერთელა ინტელექტუალური და მწარმოებლური პოტენციალი და რომელსაც გაუჩნდა შანსი, არა მარტო დაემკვიდრებინა გარკვეული ადგილი პატრიოტულ ძალთა გაერთიანებაში, არამედ რეალური მონაწილეობაც მიეღო პოლიტიკური განვითარების აღმავალ პროცესში და მოეხსნა ეროვნული დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგის იარლიყი. ასეთი „ხავერდოვანი", ევოლუციური გზა, როგორც შემდგომ გამოჩნდა სხვა ქვეყნების (ჩეხოსლოვაკია, ბალტიისპირეთი და სხვ.) მაგალითით, სავსებით რეალური შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოსთვისაც. ეს კი თავიდან აგვაცილებდა კატაკლიზმებს, სისხლიან დაპირისპირებებს, ქვეყნის ნგრევა-გაჩანაგებას, კუთხე-რეგიონების, თაობებისა და ოჯახების დაპირისპირებასაც...

მაგრამ ამისთვის მზად არ ვიყავით არავინ! მითუმეტეს, ამბიციური პატიაშვილი, რომელსაც ცენტრის ყველაზე კონსერვატული ძალა მართავდა და ამას პრაქტიკულად კი არა, ფიქრადაც როგორ გაივლებდა?

...მოვლენებს თუ წინ გავუსწრებთ, მაშინ შეგახსენებთ: ჯერ წინ არის ამ ძალების მიერ მოწყობილი ბაქოს სისხლიანი 20 იანვარი (1990 წ.), ვილნიუსი, რიგა, კიშინიოვი... და თუ შემდგომ, ცენტრს ჭკუა თბილისის ტრაგედიამ ვერ ასწავლა და მას სხვაც მოაყოლა, იმ დღეებში ვინ დაუშვებდა ქართულ ოპოზიციასთან პოლიტიკური კომპრომისის სხვებისთვის „გამრყვნელ" გამონაკლისს?..

ასე რომ, მტკიცება, იმ „ხოცვა-ჟლეტის" ღამეს პატიაშვილს „არენაზე" გასვლის მცდელობა ჰქონდაო, უბრალოდ, ღიმილის მომგვრელია.

მაგრამ, ასევე ყალბი იქნებოდა იგივეს გულწრფელი მტკიცება 4-8 აპრილის ამბებთან დაკავშირებითაც. თუმცა, ეს უკვე პასუხი იქნება *მეორე კითხვაზე, საერთოდ ცდილობდა თუ არა ცკ-ს პირველი მდივანი მომიტინგეებთან და მათ ლიდერებთან დიალოგს, მოლაპარაკებას, კონტაქტს?*

ობიექტურობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ 1988. წელს იყო პერიოდი, როცა პატიაშვილმა მიაღწია ნდობის მაქსიმუმს, განსაკუთრებით სტუდენტი ახალგაზრდობის მხრიდან–შეხვედრები უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის და სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებთან მისი პოლიტიკური გამარჯვება იყო. სხვა საკითხია, რამდენად გულწრფელი იყო იგი ამ შეხვედრებზე, რა დასკვნები გამოიტანა, რა დაპირდა და რა შეასრულა. ამაზე სხვა დროს.

შემდეგ, როგორც მოგახსენეთ, კურსი რადიკალურად შეიცვალა. ამის მიზეზებს გაკვრით ადრინდელ პუბლიკაციებში შევეხე. სამწუხაროდ, 9 აპრილამდე 4-5 თვის განმავლობაში იმდენი შეცდომა დავუშვით, რომ დაპირისპირების უფსკრული არნახულად გაღრმავდა. აი, ამ „დოვლათით" მივედით 4 აპრილს, ზურაბ ჭავჭავაძის ინიციატივით დაწყებულ და აფხაზეთის ტკივილით განპირობებულ მიტინგამდე, რომლის სადავეები სულ მოკლე ხანში ეროვნული მოძრაობის ყველაზე რადიკალურად განწყობილმა ფრთამ აიღო ხელში.

მკითხველმა თვითონ განსაჯოს, შეიძლებოდა თუ არა ამ დაპირისპირების განსაკუთრებით მწვავე პერიოდში, პატიაშვილს საერთოდ გასჩენოდა მომიტინგეებთან გასვლის *გულწრფელი* სურვილი იმ ვითარებაში, იმ განწყობით და იმ გადაწყვეტილებების ფონზე, რომელთა შესახებ პროკურატურისათვის და სსრკ სახალხო დეპუტატთა საგამოძიებო კომისიისათვის მიცემულ ჩვენებებში იგი და, მასთან ერთად, უმთავრესი პოლიტიკური ფიგურები თვითონვე მოუთხრობენ:

პატიაშვილი–კომისიას: „...6 апреля я позвонил т.т. Разумовскому, Медведеву, потом поговорил с т.Чебриковым. Был задан вопрос: могли ли мы имеюшимися силами предотвратить демонстрацию? Я просил оказать содействие, чтобы помогли силами. Просил т.Разумовского, тот обещал поговорить с т.Чебриковым."

„...В это время, (საუბარია თავდაცვის საბჭოს სხდომის დროს–8 აპრილი, საღამოს 19 საათი.–ნ.ფ.), был звонок из Москвы от Разумовского. Он спросил, достаточно ли материалов для ареста неформалов, и выразил сомнение в необходимости их ареста. Посоветовал подождать 2-3 дня и осторожно отнестись к оценке обстановки?

პატიაშვილი–პროკურატურას"...Нами были исчерпаны все возможности политическими методами предотвратить нарастающий кризис и не оставалось ничего иного: как пойти на крайний шаг-прибегнуть к силе для пресечения несанкционированного митинга у Дома правительства и в других местах: иначе эти незаконные акции могли привести к самым тяжелым и непредсказуемым последствиям?..".

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მაშინდელი თავმჯდომარე ო.ჩერქეზია–კომისიას: „...Разговор на заседании Совета большей частью сводился к тому, кого арестовать".

გენერალი ი.როდიონოვი წერს კომისიას თავდაცვის საბჭოს სხდომასთან დაკავშირებით: „...Патиашвили охарактеризовал ситуацию. Рассмотрели вопрос об аресте лидеров. Первый заместитель прокурора республики сказал, что основания для задержания четирех основных лидеров есть."

სკკპ ცკ-ს პოლიტბიუროს წევრი, ცკ-ს მდივანი ვ.ჩებრიკოვი (სსრ კავშირის „კა-გე-ბეს" ყოფილი შეფი)–კომისიას: "...Тема об аресте лидеров неформалов постоянно возникала в разговорах с грузинскими руководителями... Я не советовал этого делать, так как не был уверен, есть ли достаточные доказательства для ареста и обвинения. Поэтому советовал действовать осмотрительно, по обстановке."

ახლა დამატებით გავეცნოთ ინფორმაციას, რომელიც კარგა ხანია დოკუმენტურად და ფაქტობრივად დადასტურებულია: *6 აპრილი* –მოსკოვში გაიგზავნა ისტერიული შიფროგრამა ვითარების სიმწვავისა და დახმარების მოთხოვნის შესახებ; პატიაშვილის სატელეფონო საუბარი სკკპ ცკ-ს მდივნებთან– რაზუმოვსკისთან, მედვედევთან და ჩებრიკოვთან, სსრკ თავდაცვის მინისტრთან დ.იაზოვთან; *7 აპრილი*–როდიონოვის ტელეგრამა იაზოვისადმი, წინადადებით–არმია არ ჩაერიოს წესრიგის დამყარების აქციებში და იკისროს მხოლოდ ობიექტების დაცვის ფუნქცია, აგრეთვე არაფორმალთა ლიდერების დაპატიმრების მოთხოვნა; იაზოვის ბრძანება როდიონოვისადმი და ამ ბრძანების დადასტურება გენერალური შტაბის უფროსის მოისეევის დირექტივით კიროვაბადიდან თბილისში სადესანტო პოლკის გადმოსროლისა და სხვა სამხედრო ხასიათის ღონისძიებათა შესახებ; სსრკ თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის გენერალ კოჩეტოვისა და სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი რანგის ოფიცერთა ოპერატიული ჯგუფის ჩამოსვლა თბილისში; პატიაშვილის ხელმოწერით მეორე შიფროგრამის გაგზავნა მოსკოვში ყველაზე რადიკალური მოთხოვნებით თათბირი პოლიტბიუროში. *8 აპრილი*–ცენტრალურ ობიექტებს უკვე იცავს სამხედრო ნაწილები; პატიაშვილის სატელეფონო საუბარი იაზოვთან; მეორე თათბირი პოლიტბიუროში პარტიული აქტივის კრება; თავდაცვის საბჭოს სხდომა; თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სპეციალური შენაერთების მობილიზება თბილისში; ვერტმფრენების დილის „პარადი" და სამხედრო ტექნიკის დემონსტრირება რუსთაველის პროსპექტზე...

მაგრამ ძალისმიერი გადაწყვეტილების განხორციელებასაც სჭირდებოდა კოლექტიური განხილვისა და მოწონების ფორმა, იმის საბუთი, თითქოს იყო სურვილი მომიტინგეებთან შეხვედრისა. ასევე, ფორმალურად კოლექტიურობის ლამაზი „ტანსაცმლით" უნდა შეემოსათ ვიწრო წრის გადაწყვეტილება ძალის გამოყენების შესახებ და ამიტომაც გამართეს 8 აპრილის აქტივის კრება. სწორედ გაიანგარიშეს რეაქცია–დარბაზი ლამის დაინგრა ტაშით „ღონისძიებათა გეგმის" იმ პუნქტის გამოქვეყნების შემდეგ, არაფორმალთა სამართალში სავარაუდო მიცემას რომ გულისხმობდა.

გაგრძელება იქნება შაბათის ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „დუელიანტები“ პარასკევამდე დაშორდნენ ერთმანეთს



როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, დღეს რესპუბლიკის ყოველ მეორე მოქალაქეს სასამართლო სტრუქტურებთან აქვს საქმე, მათგან ნახევარი თვითონ ჩივის, ნახევარი კი მოპასუხის როლში გვევლინება. სასამართლო პერიპეტიებს ვერც პარლამენტის წევრები აცდნენ. 10 თებერვალს, დღის 2 საათზე საბიუჯეტო საკითხებზე მომუშავე შემთანხმებელი კომისიის შესვენების პერიოდში პარლამენტის შენობის დატოვება მოუწია ბ-ნ გიორგი ბარამიძეს, რადგან ზუსტად ამ დროისთვის ქთბილისის მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში დანიშნული იყო სამოქალაქო საქმის მოსმენა, სადაც ბ-ნი ა.მარგიანი „პიროვნების პატივისა და ღირსების შელახვაში“ ბრალს სდებდა გ.ბარამიძეს. შეგახსენებთ, რომ ეს ის პროცესია, რომელზე გამოუცხადებლობაში ბ-ნმა მარგიანმა ბრალი დასდო ამ ერთი კვირის წინ პრესის ფურცლებზე ბ-ნ გიორგის, რომლისთვისაც, როგორც გაირკვა, სასამართლოს შეტყობინება არც კი ჰქონია გაგზავნილი. ალბათ, ბ-ნი მარგიანი და მოსამართლე ბ-ნი თალაკვაძე იმედოვნებდნენ, რომ ბ-ნი გიორგი ტელეპატიური ნიჭით იყო დაჯილდოებული. საბედნიეროდ, ზემოთაღნიშნული ნიჭით არდაჯილდოებული ბ-ნი გიორგი ზუსტად 2 საათზე გამოცხადდა მოსამართლე ვ.თალაკვაძის კაბინეტში, რასაც ვერ ვიტყვით ბ-ნ ავთანდილის შესახებ, რომელმაც საათი და თხუთმეტი წუთი აცდევინა პარლამენტისა და სასამართლოს წევრებს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბატონი ავთანდილი, პირველი: ავად გახლდათ, მეორე: ვერ მიიღო დროულად ვიდეო-ჩანაწერი, რომელზედაც აღბეჭდილი იყო ბ-ნი გიორგის ის გამოსვლა, ზემოთაღნიშნულ პროცესს რომ დაუდო დასაბამი. ამ მხრივ მოპასუხე მხარე მომზადებული გახლდათ და მომჩივან მხარეს შესთავაზა კიდევაც კასეტა პრობლემური ჩანაწერით და სიტყვებით, ოღონდაც მოვიდეს და ჩვენ ყველანაირად შევუწყობთ ხელსო. ბ-ნ ავთანდილის მოსვლამდე მოსამართლის კაბინეტში ფრიად საინტერესო დებატები მიმდინარეობდა კორუფციისა და არა მარტო კორუფციის თემაზე, რომელშიც ბ-ნი თალაკვაძე დიდი სიამოვნებით იღებდა მონაწილეობას. სადღაც ოთხის ოცი წუთისათვის ბ-ნი ავთანდილიც მობრძანდა ავადსახსენებელ ფირთან ერთად და ბოდიში მოიხადა დაგვიანებისთვის. აქ კი აღმოჩნდა, რომ ფირის მოსასმენ-სანახავად თურმე ვიდეოაპარატურა ყოფილა საჭირო, რომელიც სასამართლოს, რასაკვირველია, არ გააჩნია. ბ-ნი გიორგის წინადადებაზე, იქნებ სტენოგრამით გვემუშავაო, გაირკვა, რომ ავთანდილ მარგიანს ზუსტად ინტონაციის თაობაზე გააჩნია პრეტენზიები გიორგი ბარამიძესთან, რასაც, რასაკვირველია, სტენოგრამაში ვერ აღმოაჩენთ. როგორც ბ-ნმა ავთანდილმა აღნიშნა, ტექსტის გაშიფრვა არ არის საკმარისი, მთავარია როგორი დიქციით ლაპარაკობენ. „ზოგმა შეიძლება შეგაგინოს და გაგიხარდეს, ზოგმა შეგაქოს და გეწყინოს“, – ბრძანა ბატონმა ავთანდილმა. მოსამართლე დაეთანხმა მის აზრს და მხარეთა ხანმოკლე ბჭობის შემდეგ გადაწყდა – პროცესი ტექნიკური მხრის უკეთ მომზადების მიზნით პარასკევს თორმეტი საათისათვის გადაეტანათ. ასე რომ, „დუელიანტები“ პარასკევამდე დაშორდნენ ერთმანეთს.

კობა კიკნაძე

### თბილისის მერის აკრძალვა დევნილთა გენოციდს - აცხადებენ ჰელსინკის კავშირის წევრები

ჰელსინკის კავშირის მიერ დღეს გამართულ პრეს-კონფერენციაზე ჟურნალისტებს მიაწოდეს ინფორმაცია ჩეჩნეთში მათი ვიზიტის შესახებ. აღინიშნა, რომ 12 კაციანი დელეგაცია, საპრეზიდენტო არჩევნებზე ოფიციალურად იყო მიწვეული დამკვირვებლის სტატუსით. ჩეჩნეთის პრეზიდენტთან ჰელსინკის კავშირის დელეგაციის შეხვედრის დროს ზიანდარბიევმა განაცხადა, რომ „რა ხელისუფლებაც არ უნდა იყოს საქართველოში, საქართველოს „კანონიერი ხელისუფლების“ წარმომადგენლობა ჩეჩნეთში ყოველთვის იქნება“.

აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს ჰელსინკის კავშირის ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავ-რემ ა.დავითაიამ განაცხადა, რომ გრძელდება აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის გენოციდი, რაც გამოიხატება თბილისის მერიის ბოლოდროინდელი დადგენილებებით - გარე ვაჭრობის აკრძალვის შესახებ. მისივე თქმით, „კონფლიქტის ზონაში სპეციალურად ხდება პარტიზანების განადგურება, რადგან ხელისუფლებას არ აწყობს მათი იქ ყოფნა. რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელშეწყობით მიმდინარეობს მათ რაზმებზე ნადირობა“.

ცნობილი გახდა, რომ ჩეჩნეთის დედაქალაქში გახსნილია „კანონიერი ხელისუფლების“ წარმომადგენლობა, რომელსაც დევნილი ხელისუფლების წევრი სოსო თორია ხელმძღვანელობს. (იფრინდა)

### რუსი სამხედროები შეშფოთებას გამოთქვამენ, ანუ ვიღაცას ჩვენი ვალიც ჰქონია...

ამიერკავკასიაში რფ-ის სამხედრო დაჯგუფების წარმომადგენლები გამოთქვამენ შეშფოთებას იმის გამო, რომ 1997 წლის 1 მარტს საქართველოს საჰაერო ავიაციის დეპარტამენტმა შესაძლოა კვლავ შეუწყვიტოს რუსეთის სამხედრო ავიაციას საჰაერო-სანავიგაციო მომსახურება, 1994–1996 წლებში მომსახურეობის ვალის გადაუხდელობის გამო, რომელმაც 500.000 აშშ დოლარი შეადგინა. რუსი სამხედროები აღნიშნავენ, რომ ძირითადად ეს ეხება სამხედრო რეისს „ჩკალოვსკის“ აეროდრომიდან „ვაზიანის“ აეროდრომამდე. ისინი განმარტავენ, რომ ჯერჯერობით აღნიშნული რეისი სრულდება საჰაერო ავიაციის დეპარტამენტის ცენტრალური სადისპეჩერო სამსახურის კეთილგანწყობის გამო, რადგანაც აქ ბევრი ისეთი პირი მუშაობს, რომელიც ადრე რუსეთის არმიაში მსახურობდა.

ქართული მხარე, საჰაერო ავიაციის დეპარტამენტის თავმჯდომარის, ზურაბ ჭანკვეტაძის ხელმძღვანელობით, კვლავ სთხოვს შესაბამის ორგანოებს, - შეიმუშაონ ისეთი დოკუმენტური ბაზა, რომელიც აღნიშნულ პრობლემას დაარეგულირებს. (იბერია)

# 200000 დოლარი თავისუფლების ქანდაკებისათვის დამშეულთა ჯიბიდან...

*საქართველოს რესპუბლიკური პარტიის სიღნაღის რაიონულმა ორგანიზაციამ სიღნაღში გაავრცელა განცხადება, რომელშიც ვკითხულობთ:*

სიღნაღის რაიონის მესვეურებმა გადაწყვიტეს ქ.სიღნაღში დადგან თავისუფლების ქანდაკება.

ერთი შეხედვით ფაქტი საკმაოდ მომხიბვლელია, მაგრამ საკმარისია დღევანდელი მდგომარეობიდან და რაიონში არსებული ეკონომიკური, გნებავთ, პოლიტიკური სიტუაციიდან გავიაზროთ ეს ერთი შეხედვით უწყინარი და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომ გულწრფელად ვიკითხოთ, რა დროს ეს არისო?..

თავისუფლება არასდროს მოსულა, ან დამკვიდრებულა ცრუ პომპეზურობით და სიმბოლიკათა გაუთვიცნობიერებელი თაყვანისცემით, როცა რაიონში თავისუფალ აზრს არსებობის უფლება არა აქვს და არავის სჭირდება; როცა ტაბუ აქვს დადებული ყოველგვარ განსხვავებულ შეხედულებას; როცა რაიონში არავითარი ინფორმაცია არ არსებობს რეალურ უკიდურეს სიდუხჭირეზე და მავანნი მხოლოდ რეკლამების, ცრუ წარმატებების და ხოტბა-დიდების ხელოვნურ კმაყოფილებაში ეძლევიან თვითდამშვიდებას, ხან აჭარაში აშენებენ „აჭარის ქიზიყს“ (როცა აჭარლების პატარა სოფლის „ერის იმედისათვის“ არაფერს ზრუნავენ ადგილზე), ხან გერმანიაში მიმოსვლაში ხარჯავენ თანხებს და მტკაველა ქუჩებს და მოედნებს გერმანულ სახელებს არქმევენ, რითაც მოჩვენებით ჰქმნიან მოწინავე მოწესრიგებული რაიონის შთაბეჭდილებას; როცა ეკლესიის საძირკველზე კულტურის სახლის ნანგრევებია აღმართული უკვე 10 წელზე მეტია და მისი დამთავრების პერსპექტივები არ ჩანს; როცა ადგილობრივი ბიუჯეტი ქანცგამოცლილია, ვერ რიგდება ხელფასები და პენსიები, არ არის წყალი, ელექტროენერგია, გაზი, გაპარტახებულია გზები, როცა ცუდმა ზამთარმა საერთოდ ეჭვის ქვეშ დააყენა არა თუ მომავალი მოსავალი, არამედ საერთოდ რაიონში მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენის საკითხი, რაიონის ბიუჯეტიდან დაახლოებით 200000 დოლარის გამოყოფა თავისუფლების ქანდაკებისათვის, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, მეტად უადგილო და უდროო გადაწყვეტილებაა. რაიონის ბიუჯეტი რაიონის მოსახლეობას ეკუთვნის და საეჭვოა მათ სურდეთ რაიონის დღევანდელ მესვეურთა უკვდავსაყოფად საკუთარი ჯიბიდან 200000 დოლარის გაღება.

რაიონში არსებული ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაცია რესპუბლიკური პარტია გმობს აღნიშნულ გადაწყვეტილებას და მოუწოდებს რაიონის მოსახლეობას ბოლოს და ბოლოს გამოხატოს თავისი დამოკიდებულება რაიონის ბიუჯეტის არასწორი, უმოწყალოდ განიავების გამო. რაც, როგორც აღვნიშნეთ, ხდება სისტემატიურად ერთეულთა შეხედულებებით და სურვილებით, ხალხის ნების საწინააღმდეგოდ.

აქვე ვაცხადებთ, თუ ქანდაკება მაინც აღიმართა, რა თქმა უნდა მოკრძალებით, ჩვენც შევამკობთ მას ყვავილებით, რადგან თავისუფლებაცა და მისი ქანდაკებაც ყოველგვარ პირობებში საყოველთაო თაყვანისცემის ობიექტია და მნიშვნელობა არა აქვს, ვინ აღმართავს მას, მასზე მონოპოლიის უფლება არავის არა აქვს, მას ვერავინ დაისაკუთრებს, მით უმეტეს, რომ იგი ჩვენი რაიონის საარსებო საშუალებაზე, ბიუჯეტზე, ჩვენი პატიოსანი მშრომელების ხარჯზეა გათვლილი.

როგორც დიდი მამულიშვილის სოლომონ დოდაშვილის ნეშტი არ ეკუთვნით მხოლოდ მათ, ვინც იგი მთაწმინდაზე გადმოასვენა...

საინტერესო პარალელებია – სოლომონ დოდაშვილის ნეშტი მთაწმინდაზე გადმოასვენა იმ ხელისუფლებამ, რომელმაც თანამიმდევრულად შელახა და დაასაფლავა სწორედ ეროვნული სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, ქვეყნის დამოუკიდებლობა და დემოკრატია, ე.ი. ის, რასაც სიცოცხლე შესწირა ს.დოდაშვილმა.

თავისუფლების ქანდაკება უნდა აღიმართოს სიღნაღში, როდესაც თავისუფლება სამარცხვინო ბოძზეა გაკრული. სწორედ თავისუფლებას აბრალებენ დღემდე ყველა უბედურებას, რაც ხდება, ნიღბავენ რა სამარცხვინოდ თავიანთ ისტორიულ დანაშაულს ქვეყნის ამ დღეში ჩაგდების გამო.

ვის ან რაში სჭირდება ეს პოზა?..

პოზა, რომელიც პაროდიულ სახეს აძლევს ხალხისათვის მარად უწმინდეს ღირებულებას – თავისუფლებას!

*დღესდღეობით საპარლამენტო ცხოვრების ყველაზე პრობლემურ საკითხს 1997 წლის ბიუჯეტის მიღება შეადგენს. მთელი რიგი მუხლების შესახებ აზრთა სხვადასხვაობამ გამოიწვია შემთანხმებელი კომისიის შექმნა, რომლის შემადგენლობაში მყოფი ფრაქციათა წარმომადგენლები ცდილობენ გაითვალისწინონ ყველა ის სერიოზული პრეტენზია, რომელიც პარლამენტარებს ბიუჯეტის მიმართ გააჩნიათ. სწორედ ამ პრობლემებს მიეძღვნა პრესკონფერენცია, რომელიც 11 თებერვალს ჩაატარეს პირველი რესპუბლიკის დარბაზში სახალხო პარტია – ეროვნული დემოკრატების წარმომადგენლებმა.*

## მამუკა გიორგაძე: ქვეყანა კორუფციასთან ბრძოლას აცხადებს 25 ლარიანი პროკურორებით და 50 ლარიანი პოლიციელებით...

დავიწყოთ იქიდან, რომ დღევანდელ კრიზისამდე იმ ფაქტმა მიგვიყვანა, რომ ბიუჯეტი, რომელიც პარლამენტს განსახილველად აგვისტოში უნდა გადაცემოდა, მხოლოდ თებერვლისთვის მომზადდა. აპელირება იმ ფაქტისადმი, რომ სავალუტო ფონდს არ ჰქონდა დროულად გადმოცემული ბიუჯეტში გასათვალისწინებული მონაცემები, არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან იმ ჯგუფს, რომელიც მონაწილეობდა ბიუჯეტის შედგენაში.

ბიუჯეტის 47 მუხლიდან უმრავლესობა შეუსაბამობაშია ქვეყნის კონსტიტუციასთან და არღვევს არსებულ კანონმდებლობას. დღეისათვის შემთანხმებელ კომისიაში ასეთი სახის შენიშვნა შემოსულია 35 მუხლის შესახებ. წარმოდგენილი პროექტის მიღების შემთხვევაში ხდება პრეზიდენტის მიერ პარლამენტის ფუნქციების შეთავსება, რაც უცილობლად ერთმმართველობაზე გადასვლა იქნება.

სახალხო პარტიას გააჩნია კონკრეტული შენიშვნები მთელი რიგი მუხლების მიმართ. აი, ზოგიერთი მათგანი:

– ბიუჯეტის მიერ არ არის გათვალისწინებული სასამართლო რეფორმის მიმდინარეობის ფინანსური უზრუნველყოფა, რაც უცილობლად მის დალუპვას გამოიწვევს.

– ბიუჯეტს არ გააჩნია საჭირო „გამჭვირვალება“. სამინისტროთათვის გათვალისწინებული თანხების დიდი ნაწილი მოდის გრაფაზე „სხვა ხარჯები“, რაც, როგორც მოგეხსენებათ, კორუფციის წყაროს წარმოადგენს.

– არასაკმარისი ყურადღება და დაფინანსებაა გათვალისწინებული სოციალური სფეროსათვის. რამოდენიმე კანონპროექტისათვის საერთოდ არ არის გათვალისწინებული ფულადი დახმარება. ბიუჯეტის მეორე ვარიანტში დეფიციტი შემცირებულია სოციალური სფეროს ხარჯზე.

– მუხლები – ხელისუფლების შენახვა-დაფინანსების შესახებ საკმაოდ დახურულია. ყველამ უნდა იცოდეს რა ჯდება პარლამენტის, პრეზიდენტის და ა.შ. შენახვა.

– არასაკმარისი სერიოზულობით არის ასახული საშინაო და საგარეო ვალის პრობლემები. ქვეყნის ბიუჯეტში უცილობლად უნდა იგრძნობოდეს, თუ რა პოლიტიკით მიდის სახელმწიფოს განვითარება, რაც არსებულ ვარიანტში არ არის ფიქსირებული.

კიდევ მრავალ საკითხზე შეიძლება ლაპარაკი. ჩვენს პარტიას ჰქონდა კონკრეტული წინადადებები, თუ რა წყაროებით შეიძლება ბიუჯეტის შევსება. სასაცილოა, როდესაც ქვეყანა კორუფციასთან ბრძოლის წელს აცხადებს 25 ლარიანი პროკურორებითა და 50 ლარიანი პოლიციელებით. ეს ხომ ყაჩაღობისა და მათხოვრობის დაკანონებას ნიშნავს.

მოგეხსენებათ, ქვეყანაში არიან ჯგუფები, რომლებიც აწარმოებენ სიგარეტის და სპირტიანი სასმელების არალეგალურ ბიზნესს. ეს ის ყველასათვის ცნობილი პიროვნებებია, რომელთაც სახელმწიფოს ასეულ მილიონობით ზარალი მიაყენეს და კვლავაც აყენებენ. იცვლებიან მთავრობები, მაგრამ ამ ხალხის საქმიანობა და შემადგენლობა არ იცვლება. წელს კი უნიკალური რამ ხდება. ბიუჯეტი ითვალისწინებს თამბაქოსა და სპირტიან სასმელების შემოტანა-გატანაზე პრეზიდენტის კონტროლის დაწესებას, რაც გამოიწვევს კონტრაბანდისტთა ამ ჯგუფების რესპუბლიკის პრეზიდენტთან შეკავშირებას. ითავსებს რა პარლამენტის ფუნქციებს, მას და მხოლოდ მას შეეძლება მათთვის გადასახადის ფორმის და ზომის განსაზღვრა-დაწესება. მე ვფიქრობ, რომ ამ ფაქტის ფორმულირება შემდეგნაირად შეიძლება: კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის წელიწადს ხდება კორუფციის დაკანონება და საპრეზიდენტო დონეზე დაფუძნება. ბუნებრივია, რომ ჩვენს პარტიას სერიოზული პრეტენზიები გაუჩნდა ბიუჯეტის არსებული ვარიანტის მიმართ. როგორც ხედავთ, ეს არ გახლავთ პირადი მდგომარეობიდან გამომდინარე პრეტენზიები. ეს ის საკითხებია, რომლებსაც, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, ზოგადსახელმწიფოებრივი, სახალხო ინტერესების სტატუსი გააჩნიათ.

## მიხეილ ჯიბუტი: ეს კატასტროფული ვალები ჩვენი მომავალი თაობის „საჩუქარია“

ჩვენმა პარტიამ წინა წლის ბიუჯეტის მიღების დროს განაცხადა მისი არარეალურობის შესახებ, რაც გათვალისწინებული არ იქნა პარლამენტის მიერ. სამაგიეროდ შედეგად მივიღეთ ის, რომ ოთხმოცდათექვსმეტი წლის ბიუჯეტი წლის განმავლობაში სამჯერ იქნა კორექტირებული, მაგრამ მაინც ვერ შესრულდა. რას მოეითხოვთ ჩვენ, სახალხო პარტიის წარმომადგენლები წლევანდელი ბიუჯეტისგან: ბიუჯეტის პროექტის შესრულების ტექნოლოგია და დამტკიცება შეესაბამებოდეს კონსტიტუციას და არ არღვევდეს კანონმდებლობას. ბიუჯეტის მეორე ვარიანტში მრავლად არის შემთხვევები, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურები ითავსებენ საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციებს. მაგალითად: მთავრობას ეძლევა უფლება აიღოს ეროვნული ბანკიდან მიზნობრივი გრძელვადიანი (5 წელი) სესხი. კანონში ბანკის შესახებ კი 8 თვიანზე მეტი სესხის გაცემა მათთვის გათვალისწინებული არ არის. ვარიანტის მიღების შემთხვევაში კი ხელისუფლებას შეეძლება აიღოს სესხი და მისი გადახდა მოუწევს შემდეგ ხელისუფლებას, რაც ყოვლად დაუშვებელია. ჩვენი პარტიის პრინციპული უთანხმოება არსებული ბიუჯეტის ვარიანტთან შემდეგში გამოიხატება: თუკი გულდასმით გადავავლებთ თვალს წინა წლების ქვეყნის საგარეო ვალის ზრდის დინამიკას, შევნიშნავთ, რომ მან უკვე მილიარდნახევარ დოლარს მიაღწია. წლითიწლობით იზრდება ქვეყნის ვალი და ბიუჯეტური დეფიციტი. ეს იმას ნიშნავს, რომ სულ უფრო მზარდი ვალების ხარჯზე ხდება ხელისუფლების, ქვეყნის არსებობა. ვინ უნდა გაისტუმროს ეს ვალები? მათი რესტრუქტურიზაცია ჩამოწერას არ ნიშნავს. ამ თანხების გასტუმრება მაინც მოუწევს მომდევნო თაობებს. დღეისათვის საგარეო ვალის გასტუმრებისთვის გათვალისწინებულმა თანხამ ბიუჯეტის ლამის 18% შეადგინა. საგარეო ვალების ზრდის დღევანდელი დინამიკის მიხედვით რამოდენიმე წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი 50–60%-ზე ავა. ეს ის „სასიამოვნო“ საჩუქარი იქნება მომდევნო თაობებისთვის, რომლის გასტუმრებასაც ათწლეულები დასჭირდება.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ბიუჯეტის 60%-ს ხელისუფლების ხარჯები წარმოადგენს. ქვეყნის მმართველი აპარატის შენახვა უფრო მეტი უჯდება ქვეყანას, ვიდრე მისი საქმიანობის შედეგებია. ჩვენი პარტიის პოზიცია ამ საკითხში ცალსახაა: სახელმწიფო მანქანას ნაკლები – სოციალურ სფეროს მეტი.

ჩაიწერა
კობა კიკნაძემ

## აქცია დაიშალა. იმედი იმედად დარჩა

ბიუჯეტთან დაკავშირებული ბჭობითა და დებატებით აფორიაქებულ პარლამენტის შენობასთან 10 თებერვალს, დილით, გარე ვაჭრობის აკრძალვის შედეგად დაზარალებულმა პირებმა მოიყარეს თავი. მათ ძირითად ნაწილს იძულებით გადაადგილებულნი წარმოადგენდნენ. აქციის წარმომადგენელთა სურვილს, თავიანთი გაჭირვება გაეზიარებინათ საკანონმდებლო ორგანოს წევრთათვის, ყურადღებით მოეკიდნენ არა პარლამენტარები, არამედ პოლიციელები, რომელთა საკმაოდ დიდი რაოდენობა რატომღაც „შემთხვევით“ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩნდა... მართალია, შეკრებილთა უმრავლესობას მანდილოსნები შეადგენდნენ, მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის ბოლო 4-5 წლის გამოცდილებიდან გამომდინარე, დროულად ინფორმირებულმა სამართალდამცავმა ორგანოებმა წინდაწინ მიიღეს გამაფრთხილებელი ზომები. ექსცესებს ადგილი არ ჰქონია, რასაც გარკვეულწილად ნალვლიანად სუსხიანმა ამინდმაც შეუწყო ხელი. პარლამენტის შენობაში მოხვედრის იმედგადაწურულ გათოშილ მოქალაქეებს კი ისღა დარჩენოდათ, ერთმანეთისთვის და პოლიციელთათვის გაეზიარებინათ ჭირვარამი და სადარდებელი. აქცია მალე დაიშალა, დაღლილი ნაბიჯებით გაემართა ხალხი სახლებისაკენ და თან ისევ ის ტვირთი წაიღო, რომლითაც და რომლის შემსუბუქების იმედითაც პარლამენტისკენ მოეშურებოდა.

კობა კიკნაძე

## ეროვნული ინფორმაცია

### ფინანსთა სამინისტროს მონაცემები

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული 1997 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, წლეულს სახელმწიფო ხარჯებმა 1.018 მლნ. ლარი, ხოლო შემოსავლებმა 818 მლნ. ლარი უნდა შეადგინონ. ფინანსთა სამინისტროს, კერძოდ საგადასახადო სამსახურს მიაჩნია, რომ წლის განმავლობაში შესაძლებელია სხვადასხვა წყაროდან უფრო დიდი ხარჯებით ამოღება. ამ მატების წყალობით, თელიან ფინანსთა სამინისტროში, საბიუჯეტო ხარჯები, შესაძლოა კიდევ 116 მლნ. ლარით გაიზარდოს. (იბერია)

### ირაკლი მენაღარიშვილის აზრი საქართველოში ნატოს გენერალური მდივნის ხავიერ სოლანას ვიზიტთან დაკავშირებით

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა ნატო-ს გენერალური მდივნის ხავიერ სოლანას ამჟამინდელ ვიზიტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საქართველოსათვის ეს ვიზიტი მეტად მნიშვნელოვანია. ფართოვდება საქართველოს ნატო-ს სტრუქტურებში თანამშრომლობის პერსპექტივა. ქართულ მხარეს მიაჩნია, რომ საუბარი ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოების შესახებ, ეს ბუნებრივი პროცესია, რომელიც ნატო-ს და კონკრეტულ სახელმწიფოს ინტერესებს შეესაბამება. „თუმცა მნიშვნელოვანია რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებაც“, – დასძინა მინისტრმა. (იბერია)

### ნატო-ს გენერალური მდივნის გამოსვლა საქართველოს პარლამენტში

12 თებერვალს საქართველოს პარლამენტის წინაშე სიტყვით წარსდგა ნატო-ს გენერალური მდივანი ხავიერ სოლანა. მან აღნიშნა, რომ ნატო ცხოველი ინტერესით ადევნებდა თვალს საქართველოს ნაბიჯებს დამოუკიდებელ ქვეყნად ჩამოყალიბების გზაზე. მისი თქმით, მიუხედავად სირთულეებისა, შედეგები დამაიმედებელია. სოლანამ ისაუბრა აგრეთვე ნატოს როლისა და ალიანსის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ ეს გამოსვლა შეაფასა, როგორც ახალი პერიოდის დასაწყისი საქართველოსათვის. (იბერია)

### საქართველოს დელეგაცია ვლადიკავკაზში გაემგზავრა

11 თებერვალს, საღამოს, საქართველოს დელეგაცია ვლადიკავკაზში გაემგზავრა. აქ 4 დღის განმავლობაში გაიმართება ესკადა ცხინვალის რეგიონიდან ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების, ეკონომიკური პრობლემების, რუსეთის სამშვიდობო ძალების განლაგების ვადების შეცვლის საკითხებთან დაკავშირებით. ესკადაში მონაწილეობას იღებენ საქართველოს დელეგაცია, ეუთოს წარმომადგენლები – შუამავლის სახით, რუსეთის ფედერაციისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დელეგაციები. ესკადას ხელმძღვანელობს ირაკლი მაჭავარიანი.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი გურამ ნიკოლაიშვილი, საქართველოში ნატო-ს გენერალური მდივნის ხავიერ სოლანას ვიზიტში მონაწილეობის გამო, გუშინ ვერ გაემგზავრა ქ.ვლადიკავკაზში, მაგრამ მოგვიანებით იგი საქართველოს დელეგაციას შეუერთდება. (იბერია)

### გრძელდება აქცია მთავრობის სასახლესთან

გრძელდება აქცია მთავრობის სახლის წინ გარე ვაჭრობის აკრძალვასთან დაკავშირებით. აქციის მონაწილეები ძირითადად ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე აწარმოებდნენ ვაჭრობას. „იბერია“-ს კორესპონდენტთან საუბარში მათ განაცხადეს, რომ იმ ბაზრობებზე, სადაც მათ შესთავაზეს გადასვლა – მოსთხოვეს გადასახადი 100–150 ლარის ოდენობით, რაც მათ ბიუჯეტს ბევრად აღემატება. აქციის მონაწილეებმა წერილიც კი გაუგზავნეს პარლამენტარებს, მაგრამ პასუხი ჯერჯერობით არ მიუღიათ. მონაწილეთა შორის უმეტესობა იძულებით გადაადგილებული პირია. (იბერია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

## სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

1937 წლის 17 აგვისტოს თბილისში, მაჩაბლის ქუჩის 13 ნომერში, საქართველოს მწერალთა კავშირის სასახლეში მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი.

მსოფლიო სამართალწარმოების პრაქტიკაში ეს იყო ერთ-ერთი უნიკალური პროცესი. უნიკალური იმით, რომ მოსამართლე და მსაჯულნი იყვნენ არა იურისტები, არამედ ხელოვანნი. სასამართლო სავსე იყო ბრალმდებლებით და არსად ჩანდა დამცველი. რაც მთავარია, სხდომას ბრალდებულიც არ ესწრებოდა... (არ დაასწრეს).

დიახ, ეს იყო ერთ-ერთი და არა ერთადერთი უნიკალური პროცესი, რადგან იმ წელიწადს ასეთი სხდომები მრავლად იმართებოდა მთელს სსრკ-ში. 17 აგვისტოს კი მორიგ მსხვერპლს სწირავდნენ...

ოფიციალურად ამ პროცესს ერქვა საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა, მაგრამ, არსებითად, იგი მართლაც სასამართლო პროცესი იყო. ტირანულმა სახელმწიფომ მწერალთა დიდი ნაწილიც დამსჯელებად აქცია. მწერალს ჰუმანისტური მისია ყასაბის ფუნქციით შეუცვალა.

ამჯერად განაჩენი უნდა გამოეტანათ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (შინსახკომის) მორიგი მსხვერპლის, მხატვრული სიტყვის უდიდესი ოსტატის, მე-20 საუკუნის დიდი ქართველი მწერლის მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილისათვის, რომელიც სამშობლოს მოღალატისა და ხალხის მტრის იარლიყით აიყვანეს ეშაფოტზე.

განაჩენი იმავე დღეს იქნა გამოტანილი, დაიწერა „სასამართლო პროცესის“ ამსახველი სხდომის ოქმი. აი, ეს ჩანაწერიც: „ოქმი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომის 1937 წ. 17 აგვისტო. მწერალთა აქტივთან ერთად.

მოისმინეს – ინფორმაცია გამომჟღავნებული ხალხის მტრის მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ (ამხ. დ.დემეტრაძე). იგი აღნიშნავს, რომ...“

ვიდრე იმას ჩავიკითხავდეთ, თუ რა „აღინიშნა“ იმ ავადსახსენებელ სხდომაზე და რა განაჩენი იქნა გამოტანილი, მანამდე თვალი გავადევნოთ „ხალხის მტრისა“ და „სამშობლოს მოღალატის“ ცხოვრების გზას. ვნახოთ, თუ როგორი გულმხურვალე მამულიშვილი და შეუდარებელი მოქალაქე იყო მიხეილი თავისი ქვეყნისა და შემდგომ უფრო შემაძრწუნებლად აჟღერდება ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა ტირანულ სახელმწიფოში შექმნილ-შეთითხნილი ამ სამარცხვინო დოკუმენტისა.

### ბავშვობა და ყრმობა

მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილი დაიბადა 1880 წლის 20 ნოემბერს (ძველი სტილით 8 ნოემბერს), მიხეილობა დღეს ქვემო ქართლის სოფელ წერაქვში. რაკი ვაჟიშვილის დაბადება წმინდა მიხეილის დღესასწაულს დაემთხვა, მშობლებმა, საბამ და ელენემ, ახალშობილს მიხეილი დაარქვეს.

საბა, მიუხედავად იმისა, რომ წვრილშვილის პატრონი იყო მას ექვსი შვილი ჰყავდა, ოთხი ქალი და ორი ვაჟი – მიხეილი და ფრიდონი. პირველი ვაჟიშვილი იოსები ჩვილობაშივე გარდაიცვალა), სოფლელი გლეხკაცის კვალობაზე შეძლებულად, გამართულად ცხოვრობდა. გლეხკაცის კვალობაზეო რომ ვწერ, – შესაძლოა გაგიკვირდეთ, ჯავახიშვილები ხომ თავადიშვილები იყვნენ და საბა რაღამ გააგლეხკაცაო – იკითხავთ. ამის შესახებ ცოტა ქვემოთ მექნება საუბარი.

# მიხეილ ჯავახიშვილი

## ცხოვრება და მოღვაწეობა

### ნოდარ გრიგალაშვილი

დიდი მწერლების ბიოგრაფიიდან მკითხველს, როგორც წესი, ყველაფერი აინტერესებს მწერლის ნინველობიდან დაწყებული, მისი ცხოვრების უკანასკნელი წუთებით დამთავრებული. არავინ იცის, როგორი იყო მიხეილ ჯავახიშვილის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები და წუთები, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, მწერლის ქალიშვილმა, ქეთევან ჯავახიშვილმა მამის შესახებ დაგვიტოვა მოგონებათა დიდი და მშვენიერი წიგნი, რომელშიც თითქმის სრულყოფილადაა წარმოდგენილი მიხეილის ცხოვრების გზა. ეს წიგნი ყველაზე უტყუარი წყაროა შემოქმედის გარეგანი და სულიერი ცხოვრების წარმოსადგენად. ქეთევან ჯავახიშვილს, საკუთრივ მამისა და ნათესავების გადმოცემით, მწერლის ბავშვობის წლებიც აღუდგენია. ამ წიგნის მიხედვით მიხეილის ნინველობის პორტრეტი ასეთია:

„დაბადებიდანვე სუსტი აღნაგობისა იყო. გარეგნულადაც არ ჰგავდა თავის დებს, რომლებიც ფერ-ხორცით, ძალღონით გამოირჩეოდნენ, სოფლის ბიჭუნებისგანაც განირჩეოდა. მორჩილი ტანისა იყო, სუსტი, გამხდარი. მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა და ხელის შეწყობა ჰქონდა, მაინც ხშირად ხდებოდა ავად...

ერთავად თვალებში შესცქეროდნენ, რომ შეუძლოდ არ გამხდარიყო და რაიმე ავადმყოფობა არ შეხვედროდა. მოიწყენდა თუ არა, ახლობლებმა აღარ იცოდნენ, როგორ გამოერკვეიათ მოწყენის მიზეზი და მისი გულჩათხრობილი განწყობილება. მოწყენა კი ბავშვმა ხშირად იცოდა...“

„პატარაობიდანვე გულადი და უშიშარი ბუნებისა იყო. თავისუფლად შეეძლო მარტოს ღამე ტყეში გაეტარებინა. მტკიცე ხასიათი და მაგარი ნებისყოფა ჰქონდა. ჯიუტიც იყო. ამასთან იყო თავმდაბალი, ხალხის მოყვარული, ადამიანური და კეთილი. სიყალბეს ვერ იტანდა. ტყუილი სასტიკად ეჯავრებოდა“.

„ბავშვობაში ჯიუტი ხასიათი ჰქონდა. რომ გაჯიუტდებოდა, ვერავინ მოტეხავდა. თავის თავზე იტყოდა ხოლმე: მე რომ გავჯიუტდებოდი, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ გამწევდაო. მისი ასეთი მოუსვენარი და ჯიუტი ხასიათი, ბევრჯერ გამხდარა მისთვისვე საბედისწერო. ბევრჯერ ძვირად დასჯდომია თავისი სიჯიუტე. შეუპოვარი და უშიშარი ბუნების გამო თავისთავის გაფრთხილება არ იცოდა. წინ მიიწევდა და იმაზე კი არ ფიქრობდა, რომ სადმე ხიფათი ელოდა. უკან დახევა არ უყვარდა. გულადობამ ბევრჯერ კინაღამ დაღუპა“...

სიგულოვნე, უშიშრობა, სიმტკიცე, სიყალბის სიძულვილი, სიჯიუტე, შეუპოვრობა, საკუთარი თავისადმი გაუფრთხილებლობა და დიდი სიკეთე, მოყვასის სიყვარული, თავმდაბლობა – აი, ის თვისებები, რომლითაც გვიხასიათებენ მწერლის სიყრმისდროინდელ პორტრეტს. როცა მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებას თვალს გავადევნებთ, დავრწმუნდებით, რომ ამ დახასიათებაში არ არის მიკერძოება შვილისაგან მამის სიყვარულისა გამო. მიხეილ ჯავახიშვილი მართლაც ასეთი იყო. ამ სუსტი და ტანმორჩილი კაცის გამხმარ სხეულში ღვთიური მადლი, მტკიცე თანაგრძნობა, რაინდული სული გახლდათ დავანებული.

7 წლის მიხეილი, რაკი წერაქვში სკოლა არ იყო, პრივილნოეს სასწავლებელში მიუბარებიათ. ერთი წლის შემდეგ, 1888 წელს იგი გადაიყვანეს ჯელალ-ოღლის (ახლანდელი სტეფანავანი) სასწავლებელში. პრივილნოეშიცა და ჯელალ-ოღლის სკოლაშიც ბავშვებს რუსულად ზრდიდნენ. ჯავახიშვილი ოჯახიდან 40–45 ვერსით იყო მოცილებული და შინ კვირაში ერთხელ ან ორჯერ თუ უწევდა ყოფნა, რის გამოც რუსული ენა ზედმიწევნით კარგად ისწავლა. ქართული კი წლების განმავლობაში თანდათანობით ავიწყდებოდა.

1892 წელს მიხეილმა სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა და დროებით კვლავ წერაქვში ჩაიყვანა საბამ. კიევის სამხედრო სასწავლებლიდან დაბრუნებული დავით კლდიაშვილივით, რომელსაც მშობლებთან საუბრისას თარჯიმანი სჭირდებოდა, ჯელალ-ოღლიდან დაბრუნებულ მიხეილსაც უკვე უჭირდა ქართულად ლაპარაკი. ამას ხაზს იმის გამო ვუსვამ, რომ, როგორც ვხედავთ, დიდი სხვაობა არ იყო იმ დროს ბავშვი საქართველოდან ათასობით კილომეტრით დაცილებულ კიევში გაიზრდებოდა, თუ აქვე, საქართველოშივე, რადგან სწავლა-აღზრდის მიზანი იქაც და აქაც ერთნაირი იყო – არარუსის გარუსება. ესეც არ იყოს, ქვემო ქართლი – ისტორიული საორბელიანო და საბარათიანო „პრივილნოებით“ და „ჯელალ-ოღლებით“ იყო სავსე და ქართველი კაცი თავის ისტორიულ მიწაზე ფაქტიურად არაქართულ გარემოში ცხოვრობდა (სამწუხაროდ, ასეა დღესაც). ყოველივე ამან გონებაგახსნილსა და სამშობლო ქვეყანაზე ბაღლობიდანვე უსაზღვროდ შეყვარებულ მიხეილ ჯავახიშვილს იმთავითვე მწარე საფიქრალი გაუჩინა.

ერთიც უნდა ითქვას. დავით კლდიაშვილმაც და მიხეილ ჯავახიშვილმაც, ქართული სიტყვის ამ ბრწყინვალე ოსტატებმა, ჭაბუკობის ჟამს, ფაქტიურად, ხელმეორედ შეისწავლეს მშობლიური ენა, ანუ ჭაბუკობიდანვე დაიწყეს ცხოვრებისაგან შემოთავაზებული ხელოვნური დინების საწინააღმდეგოდ სვლა, რითაც თავიც გადაირჩინეს, არ მოსწყდნენ მშობლიურ ფესვებს და მაგალითიც აჩვენეს იმისა, რომ არასოდეს არ არის გვიან, თუ ნებით ან უნებლიეთ მშობლიურ წიაღს მოსწყდი, გაუცხოვდი, კვლავ დაუბრუნდე ქვეყანას, არათუ რიგით ქართველად, არამედ დიდ და მისაბაძ მამულიშვილადაც კი.

1893 წელს მიხეილი წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში მიაბარეს. ამ სასწავლებელში ყველა საგანს ქართულად ასწავლიდნენ. იგი ილიას მიერ იყო ნაკურთხი და თვით სასწავლებელსაც ილია ჭავჭავაძის მეგობარი, დიდი პატრიოტი და შესანიშნავი სწავლული ილია წინამძღვრიშვილი განაგებდა, რომელმაც შეილიევით მიიღო ნიჭიერი ყმაწვილი.

თავისი მოწაფეობის ხანიდან მიხეილ ჯავახიშვილი იგონებს ილიასთან შეხვედრის ერთ ეპიზოდს: „სკოლისთვის ტრადიციად იყო გადაქცეული, რომ სკოლის უკანასკნელი კლასების მოწაფენი ილიას დღეობას (20 ივლისს) აუცილებლად უნდა დასწრებოდნენ. იმ დღეს დილით გალობაში კიდევ ვივარჯიშეთ, სუფთად ჩავიცვით და საგურამოსკენ გავწიეთ.

წინ მასწავლებელი თედო მეგრელიშვილი მიგვიძღვის. მას მომღერალთა გუნდი მისდევს. ხუთიოდე კილომეტრი გავიარეთ და, ილიას სახლს რომ მივუახლოვდით, მგზავრულის კილოზე მისივე ლექსი დავძახეთ:

ქართველო ხელი ხმალს იკარ,
დღე გათენდა დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი
დრო მოდის გამარჯვებისა.

წინ ილია გამოგვეგება. გარს – შემოვეხვიეთ და სიმღერა დავასრულეთ. ილიას გაოცებული შევცქეროდი. მეგონა, ახოვანი, ჩოხოსანი და ქულაჯოსანი იქნებოდა, ნამდვილად კი ჩვენს წინაშე შუა ტანის 57 წლის კაცი იდგა – სრული, პირსავსე, ჭაღარაშერეული. ილია გვიღიმოდა, გვეალერსებოდა, ვინაობას გვეკითხებოდა. მერმე წინ გაგვიძღვა და ხალხით სავსე ეზოში შეგვიყვანა. ჩვენი გამოკითხვა დიდხანს გაგრძელდა. რიგი ჩემამდე მოვიდა. იმ სკოლაში ბორჩალოელი ჩემს მეტი ჯერ არავინ ყოფილიყო. ეს ილიას გაუკვირდა და გაეხარდა. მასწავლებელმა მეგრელიშვილმა შემარცხვინა: ილიას ჩემი ნაკლი წასჩურჩულა (ლაპარაკია ქართულის უცოდინარობის შესახებ – ნ.გ.).

– აბა ბარათაშვილის ლექსი წამიკითხე, – მითხრა ილიამ. მეტი გზა არ იყო, წინდაწინვე გავწითლდი და დავიწყე:

„მორბის არაგვი, არაგვიანი
თან მოსძახიან მთანი ტყიანი“

მახეილი ისევ ნამდვილი რუსული წესით ვიხმარე: ილიამ გაიცინა, არც სხვები ჩამორჩენილან. მე მეწყინა და მაშინვე გავჩუმდი. ილიამ თავზე ხელი გადამისვა და დამაწყნარა. ვიღაცამ უთხრა ჩემზე, ჯერ ქართული გამოთქმა არ ეხერხება, სამაგიეროდ მწერლობას ისე ბეჯითად სწავლობს და ისე სწერს თხზულებას, რომ მწერალი უნდა გამოვიდესო.

– მართლა? აბა შენ იცი, – მითხრა ილიამ, – ვინძლო არ შეგვარცხვინო. იმ ვიღაცას ენამ უყიელა, თორემ მაშინ მწერლობა აზრადაც არ გამივლია“.

არათუ მწერლობა, ბევრი რამ არ შეეძლო მაშინ ეფიქრა ყმაწვილ მიხეილს. არ შეეძლო ეფიქრა, რომ სულ რამდენიმე წლის შემდეგ მისი ბედი, მისი ცხოვრება, მისი მრწამსი მჭიდროდ იქნებოდა დაკავშირებული იმ ღმერთკაცთან, რომელიც ახლა ღიმილით თავზე ხელს უსვამდა. არ შეეძლო ეფიქრა, რომ მისი სიცოცხლე იმ მრწამსს შეეწირებოდა, რაც იმ ღმერთკაცმა დაამკვიდრა საქართველოში. არ შეეძლო ეფიქრა, რომ ილიას ნათელ შუბლში გატარებული ტყვია წლების შემდეგ მის ოჯახში დაიდებდა ბინას, როგორც რენეგატთა სისასტიკის სამხილი და დასტური. და ბოლოს, არ შეეძლო ეფიქრა ის, რომ მასაც იგივე რენეგატები აცვამდნენ ჯვარს, რომლებმაც ილიას წიწამური გოლგოთად უქციეს.

წერაქველი ყმაწვილი საგურამოში ილიას დღეობაზე ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს ხედავს: პეტრე უმიკაშვილი, ნიკო ხიზანიშვილი, გიგა ყიფშიძე, დავით მიქელაძე, გრიგოლ ვოლკსი, გიორგი ზდანოვიჩი, ნატო გაბუნია. აქვე არიან უცხოელი სტუმრები: და-ძმა უორდროპები, არტურ ლაისტი. მოწაფენი ოლიმპზე გრძნობენ თავს და მათთვის ილიას სახლი ქცეულა იმ წმინდა ადგილად, სადაც ისე მოწიწებით მიდიან, როგორც მართლმორწმუნე მუსლიმანი ქაბაში.

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი მიხეილ ჯავახიშვილმა წარჩინებით დაამთავრა და სწავლის გასაგრძელებლად 1897 წელს იალტაში, საბაღოსნო და მეღვინეობის ინსტიტუტში გააგზავნეს.

გაგრძელება იქნება

# როცა ენას გვგლეჯდნენ...

## სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა ღია კრებისა. 1978 წლის 11 აპრილი.

ბიორბი ქორქოლიანი – ამხანაგებო, მე მხოლოდ საქმეზე ვილაპარაკებ. ნოდარ წულეისკირს, რომელმაც საჯაროდ მომაყენა შეურაცხყოფა, სხვა დროს გავცემ პასუხს. დღეს ამით არ მოგაცდენთ.

დამერწმუნებით, ემოცია საუკეთესო საშუალება არ არის საიმისოდ, რომ კონსტიტუციის პროექტი განვიხილოთ ღრმად და ყოველმხრივ.

პირველყოვლისა, მინდა გითხრათ: სიტყვა „რესპუბლიკა“ ლათინურად ნიშნავს სახალხო სახელმწიფოს – „რეს“ და „პუბლიკა“, რესპუბლიკა სახელმწიფოებრიობის ფორმაა. საკავშირო კონსტიტუციის 116-ე, 159-ე და 160 მუხლებში ნახმარია და, სრულიად მართებულადაც, ცნება „მოკავშირე რესპუბლიკების ენა“.

გუშინ, როდესაც შეხვედრა გვქონდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ჩვენ წარვადგინეთ წინადადებები კონსტიტუციის პროექტზე. ამ შეხვედრას ესწრებოდა პრეზიდენტის წევრთა უმრავლესობა, რომლებმაც ერთობლივად შევიმუშავეთ ბატონ გრიგოლის მიერ აქ წარმოდგენილი წინადადებები. მე კიდევ ერთხელ მინდა შევახსენოთ, პროექტის 75-ე მუხლის ჩვენი რედაქცია. მე ის ზეპირად მახსოვს, ვინაიდან თანაავტორი ვარ ამ რედაქციის და ჩემი ხელითაა დაწერილი: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კულტურული და სხვა დაწესებულებები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ რესპუბლიკის ენაზე – ქართულ ენაზე. საქართველოს სს რესპუბლიკა ახორციელებს ზრუნვას ქართული ენის ყოველმხრივი განვითარებისათვის“. აქ შევჩერდები. ვფიქრობ, ამ აბზაცში სადაო არაფერია. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „რესპუბლიკა“ ნიშნავს სახალხო სახელმწიფოს, „რესპუბლიკის ენა“ – სახალხო სახელმწიფოს ენას. ამასთან, რომ ვთქვათ „საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა ქართული ენა“, ტავტოლოგია იქნება. გამოგვივა – სახელმწიფოს ენაა სახელმწიფო ენა. ვფიქრობ, ასე არ ვარგა.

აქ ლაპარაკი იყო საფრანგეთის კონსტიტუციაზე, სხვა ქვეყნების კონსტიტუციაზეც. მინდა გითხრათ, როდესაც ესა თუ ის ენა სახელმწიფო ენად ცხადდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ენაზე წარმოებს სწავლა-განათლება ყველასათვის, ამ ენაზეა საქმის წარმოება ყველა ორგანოსა და ორგანიზაციაში, ყველა დაწესებულებაში. თქვენ ყველას შესანიშნავად მოგეხსენებათ, რომ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭო ყველა დადგენილებას აქვეყნებს 15 ენაზე, რომ ყველა ჩვენგანს უფლება აქვს გაგზავნოს საქმიანი და პირადი წერილი არა მარტო ქართულ ენაზე, არამედ ყველაზე მცირერიცხოვანი ხალხის ენაზეც.

აქ იმაზეც იყო ლაპარაკი, რომ მოქალაქეობის მიცემის უფლება არა აქვს საქართველოს და კონსტიტუციის პროექტიდან ეს მუხლი ამოვიღოთო. არ არის სწორი. საქართველოს უმაღლესი საბჭო სწყვეტს მოქალაქეობის მიკუთვნების საკითხს, მაგრამ საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოსაც აქვს ეს უფლება.

შემდეგი აბზაცი 75-ე მუხლისა ასეთია: „საქართველოს სს რესპუბლიკაში თანასწორუფლებიანობის საფუძველზე უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული, აგრეთვე სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს“. (ხმა – რატომ რუსული?).

თქვენ ყველა ბრძანებდით, რომ რუსული ენა გახლავთ ეროვნებათაშორის ურთიერთობის ენაო. ამასთან ზოგიერთი ითხოვს, რატომ ვიწყებთ ენების ჩამოთვლას რუსული ენიდანო. სად არის ლოგიკა – საქართველოში მცხოვრებ სომხებს, რუსს, აზერბაიჯანელს – დავავალდებულოთ, დავაძალოთ მაინცდამაინც ქართულ ენაზე გველაპარაკონ? (დარბაზში ხმაური, ხმები – რატომ? ჩვენ რომ გვედავებიან) (ხმა – აი, ეს არის უბედურება). (ადგილიდან – ჩვენ რომ გვავალდებულებენ?..) (ხმაური). რომელ ენაზე და ვინ გავალდებულებთ?! (ხმა დარბაზიდან – თუ ქართულად არ ვილაპარაკებ, რა მნიშვნელობა ექნება, რუსულად ვილაპარაკებ თუ ფრანგულად?) (ადგილიდან – თქვენი პოზიცია გასაგებია).

მე ძალიან გთხოვთ, რომ მათქმევინოთ ბოლომდე, თუ არ მაქვს ამის უფლება, კი, ბატონო! თუ მხოლოდ იმის უფლებაა დღეს, რომ ვლანძღოთ ერთმანეთი და ვაძაგოთ...

შემდეგი აბზაცი იმავე 75-ე მუხლისა: „რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“. თქვენ ესეც არ მოგწონთ მაგრამ, როდესაც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას ერთსულოვნად ვუჭერდით მხარს, მაშინ ყველამ მოვიწონეთ პუნქტი, სადაც წერია: ერთი ერის მეორეზე უპირატესობის ქადაგება კანონით ისჯებაო. ვართ ლოგიკურები? ვფიქრობ, არა. როცა არაპრივილეგირებული მდგომარეობა ჩვენზე ვრცელდება, ვღელავთ, სამართლიანადაც, როცა ეს ვრცელდება სხვებზე, მოგვწონს (დარბაზში საერთო ხმაური, აწყვეტინებენ ლაპარაკს)...

(თდონჟაშვილი – ამას აბა როგორ ამბობთ, ფილმის დამთავრებას არ გვაცდიან, გვითიშავენ და ჩართავენ თავისას) (საერთო ხმაური)...

აქ ლაპარაკი იყო, რომ საქართველოს კონსტიტუციის პროექტში ჩაწერილია მუხლი იმის შესახებ, რომ რესპუბლიკას აქვს უფლება ავტონომიის შექმნისა და მოითხოვთ ჩაემატოს უფლება გაუქმებისა. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში რომ იყოს მუხლი იმის შესახებ, რომ სსრ კავშირს აქვს უფლება მოკავშირე სოციალისტური რესპუბლიკის შექმნისა და ამავე დროს მისი გაუქმებისაც, თუ მოგეწონებოდათ? (დარბაზში აღშფოთებაა, საერთო ხმაური)...

მე აქ კანონებს არ ვაწესებ, მე ვამბობ ჩემს აზრს და გთხოვთ მათქმევინოთ (ხმა დარბაზიდან – გასაგებია თქვენი აზრი). თქვენთვის თუ „გასაგებია“, სხვასაც მსურს გავაგებინო.

(ხმა – თქვენი პოზიცია გასაგებია). ჩვენი სახელმწიფო – სახალხო სახელმწიფოა, დემოკრატიული სახელმწიფოა, ავტონომიის შექმნა ჰუმანური, დემოკრატიული აქტია, გაუქმება კი ძალადობის აქტია. გაუქმება მხოლოდ თვით ამ ავტონომიის მცხოვრებლების უფლებაა (აწყვეტინებენ ლაპარაკს, საერთო ხმაურია. ხმები – რეგლამენტი, რეგლამენტი).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №4,5,6,7,8,9,10,11.

გაგრძელება იქნება

# იყავი საკუთარი

თამაზ თავაძე

მაგრამ რა ვუყოთ უხსოვარი დროიდან დღემდე მოყოლებულ დაუძლეველ შეცდომებს, რომელნიც სრულიად არ შეცვლილან და პირვანდელ სახეს ინარჩუნებენ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ისეთივე რჩებიან, ადამიანები ან ვერ ხედავენ, ან ვერ ხვდებიან, რომ ათასწლეულების მანძილზე იმეორებენ ერთსა და იმავე შეცდომებს. მაგალითისთვის მოვიშველიოთ თუნდაც პლატონი, რომელიც თავისი დროის ქალაქების უგუნურად მოწყობის ნიშნად მიიჩნევდა ექიმთა და რელიგიის კანონმდებელთა განსაკუთრებულ სიჭარბეს ქალაქებში. განა რა შეიცვალა დღეს?

როგორც ვხედავთ, ერთი და იგივე შეცდომები მეორდება ადამიანთა ცნობიერებაში, რაც ურიცხვი თაობების მანძილზეართმევდა კაცობრიობას მის თანდაყოლილ უფლებას სულიერ სიბრძნესა და გამოცდილებაზე. წარსულის შეცდომებს მრავალი ახალიც მიემატა, სადღეისოდ დავიწყებულია ენის საოცარი ფენომენი, იგი იმდენად სტერილური გახდა, რომ სიტყვებს მიღმა ზოგჯერ დამამცირებლად პრიმიტიული მნიშვნელობაღა იგულისხმება, და ეს ყველაფერი იმ დროს, როცა სიტყვა ლოგოსია და უსასრულობას იტევს. მხოლოდ პოეტს, ლინგვისტს, ხელოვნების მუშაკს და ფილოსოფოსს შესწევს უნარი სიტყვის გაცოცხლებისა და ერთი მათგანის გაცოცხლებას ამ წერილში შემოგთავაზებთ.

ენას სულისათვის დამახასიათებელი ნიშანი და შინაარსი გააჩნია. ვნახოთ მაგ. სიტყვა „ფერი“, რომელიც საფუძვლად უდევს მოფერებას, რაც თავზე ხელის გადასმას კი არ ნიშნავს, არამედ საკუთარი მაღალი ემოციით, სიყვარულით შექმნილი ფერის სივრცეში საყვარელი არსების მოთავსებას. აქედან გამომდინარე, შეფერება ფერთა, აურათა შეთანწყობაა და პირიქით, შეუფერებელი ნიშნავს საპირისპირო აურათა, ფერთა შეუხამებლობას. ამასთან დაკავშირებით იბადება აზრი: როდესაც მთელი მსოფლიო მღერის ინგლისური მანერით და ინგლისურად, ინგლისი ეფერება, ფერად მოევლება დედამიწას და დანაშაულს სჩადის, რადგან უამრავ კულტურულ ფენომენს თრგუნავს, აუფერულებს კაცობრიობის კულტურულ მრავალფეროვნებას. თუკი ეს ფერი ღვთაებრივია, რა გვაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ ქართულ სულიერ ფენომენთან შედარებით აშკარაა სრულიად საპირისპირო.

საკუთარ სულიერ და კულტურულ ფენომენს მოწყვეტილი ადამიანები და ერები იოლად ექცევიან შავი საძმოებისა და კოსმიურ დემონთა მართვის მარწუხებში, იოლად ებმებიან ბნელეთის მიერ ხაფანგად დაგებულ მავნე ჩვევებს. ბნელეთი ამ მავნე ჩვევებს აღრმავებს დროთა განმავლობაში და იყენებს ადამიანთა საუკეთესო მისწრაფებების საწინააღმდეგოდ.

კაცობრიობის საუკეთესო მისწრაფებას წარმოადგენს ღვთის სასუფევლისკენ ლტოლვა, და ეს მისწრაფება არამარტო დაამახინჯეს და აბუჩად აიგდეს, არამედ ამ ცნების საპირისპირო უკიდურესობანი ჩამოაგდეს დედამიწაზე, რის შემდეგაც ადამიანები ოქროს კერპის ციებ-ცხელებით დასნეულდნენ.

ჩვენ გვინდა განსაკუთრებით ამ საკითხში შევიტანოთ ნათელი და კიდევ ერთხელ გაცხადდეს ჭეშმარიტება.

ზემოთაღნიშნული კაცობრიობის ციებ-ცხელება ათასნაირადაა გაშუქებული მრავალ კაპიტალურ ნაშრომში, მაგრამ ჭეშმარიტების ლაკონური ფორმა ხშირად მეტს ამბობს, ვიდრე მთელი ტომეულები და ამას ადამიანის ინტუიცია აკეთებს. მაშ ასე – ჩერჩილს აქვს გამონათქვამი: სოციალიზმი არის სიღარიბის სამართლიანი განაწილების სისტემა, კაპიტალიზმი კი სიმდიდრის განაწილების უსამართლო სისტემა.

არამც და არამც: კაპიტალიზმი არის უბედურებათა სიუხვე, სოციალიზმი კი სიუხვის უბედურება, ერთსაც დავძენთ, რომ ამ უკიდურესობათა სივრცეში თარეშობს კაცობრიობის ისტორია და ორივე შემთხვევაში ადამიანი მოწყვეტილია სამყაროს მთლიანობის იდეას და ამ მთლიანობის მიღმა მდებარე სივრცეში შექმნილ მიზეზ-შედეგობრივ აბლაბუდაში გახვეული ფართხალებს. შემდეგში მომავალი თაობები, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები იმკიან იმ უბედურებებსა და სიძნელეებს, რომელნიც ანგრევენ მათ სულს, სასიცოცხლო პირობებს, ოჯახებს. ასეთ ნგრევასა და დამდაბლებას მრავალი პირობა განსაზღვრავს – ოჯახური უსიამოვნებებიდან დაწყებული სისასტიკემდე, რომელთაც ტელეფილმებში უჩვენებენ. აქვეა როკ-მუსიკა, ნარკოტიკების გამოყენება, აზარტული თამაშები, სულებთან შეთამაშება, ჯადოქრობით გართობა ან კიდევ ნლო-ს არსებათა გაღმერთება და მეცნიერული ფანტასტიკა, უსასრულო მოჯადოება სექსის საკითხებით, რაც ასე მოხერხებულად კეთდება აბების, საპნის და სხვათა რეკლამებზე, აგრეთვე რომან-ტრილერები მოქმედებენ ადამიანის ქვეცნობიერებაზე და ამით უჭირავთ ადამიანთა ენერგეტიკა ათასი ჯურის ბნელეთის წარმომადგენლებს, როგორც ფიზიკურად განსხეულებულებს, ასევე მათ, ვინც ჯერ სულიერ განზომილებაშია.

ყურადღებით იყავით, აი მათი გასაღები: წარმართავენ თქვენს ყურადღებას თავისკენ და ვერც კი შეამჩნევთ, როგორ დამდაბლდით და გახდით ბნელეთის მსახური თქვენდა უნებურად, მაღალი ცნობიერება დათმეთ და დარჩით სიმდაბლის განსახიერება.

ქრისტეს შვილებო, სინათლის შვილებო, სიწმინდისა და სილამაზის აღმსარებელნო! თუ თქვენ თქვენს ცხოვრებაში გინდათ სულიერი ამაღლება, ნუ შეგვეშინდება ვთქვათ სულიერი განათლება, თქვენ უნდა მიაშუროთ საკუთარ გოლგოთას, ღმერთის მთას, სიბრძნეს და თავი შეიკავოთ ყოველი ისეთი საქციელისა თუ ჩვევისაგან, რაც ანგრევს თქვენს ჭეშმარიტ პიროვნებას, რომელიც თქვენში სამყაროს მთლიანობისგან წარმოიშვა. უნდა სძლიოთ მარტოობის გრძნობა და ირწმუნოთ საყოველთაო ერთიანობა. ადამიანი ღვთისგანაა წარმოშობილი და უნდა დაუბრუნდეს მის კეთილ საწყისს. ქრისტეს მიმსგავსებით, მისი ძალა, სიბრძნე და სიყვარული ხომ არასოდეს არაა დესპოტური და სისათუთით მიანიჭებს ყოველს უსასრულო ბედნიერებას – შეიცნოს მამაზეციერი. მიტევება, სათნოება, სამართლიანობა, მშვიდობა, მიღწევა, განვითარება აბსოლუტურ სრულყოფილებამდე – ეს ის ნობათებია, რომლებითაც აჯილდოვებს ყოველ ადამიანს ქრისტეს წვდომილი ცნობიერება.

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## იყიდება

იყიდება სამოთახიანი ბინა, ქავთარაძის VI კვ. 5 სართულიანი სახლის V სართულზე ფასი შეთანხმებით. ტელ. 23-08-42

იყიდება სასწრაფოდ 5 ოთახიანი მშენებარე ბინის კარკასი, ვაკეში, საცურაო აუზთან. საერთო ფართით 200 კვ.მ. II სართულზე. ფასი 36000 დოლარი ტელ. 29-18-57

იყიდება 3 ოთახიანი იზოლირებული ბინა I სართულზე. უკანა მხარე შემოღობილია. წინა მხარეს აქვს მანქანის დასაყენებელი ადგილი. ბინა სარემონტოა, აქვს რკინის კარები ტელ. 61-39-86 ფასი 25000 დოლარი ღრმაღელის მეტროსთან ახლოს. დარეკეთ 10 სთ-ის მერე, საღამოს

იყიდება 2 ოთახიანი ლვოვის პროექტის ბინა 9 სართულიანის მე-9 სართულზე, დუმბაძეზე. ფასი 6000 დოლარი ტელ. 66-16-96 იკითხეთ ია

იყიდება 1 ოთახიანი ბინა 24 კვ.მ შუშაბანდი 8 კვ.მ. რკ. სადგურის უკან, ცოდნე დადიანის (ყოფილი ოქტომბრის) ქუჩაზე საერთო ეზოში II სართული. ფასი 6500$ ტელ. 99-89-00

იყიდება 3 ოთახიანი ბინა დიდი ლოჯით, I სართულზე, მრგვალ ბაღთან, მცხეთის ქუჩაზე. ტელ. 22-01-40

იყიდება 3 ოთახიანი ბინა მიშენებით. მეტრო დელისთან I კვ. ვაჟა-ფშაველას 45. კორპ. 23. V სართული. გოგირდის ცხელი წყლის, ტელეფონით, ავეჯით. ფასი 30000 ლარი ტელ. 39-02-33 თამარი

ვყიდი გასაშლელ კოსმეტიკურ სავარძელს. შეიძლება სტომატოლოგის მიერ მისი გამოყენებაც. ფასი 400 ლარი ტელ. 74-23-80 იკითხეთ ნანა

## ქირავდება

ქირავდება ბინა დიდ დიღომში, იოანე პეტრიწის ქუჩაზე ტელ. 34-40-37

ქირავდება კეთილმოწყობილი სარდაფი 35 კვ.მეტრის ფართობით გმირთა მოედანზე ტელ. 22-39-68. ფასი შეთანხმებით

ვაქირავებ საბურთალოზე, გმირთა მოედანზე 2 ოთახიდან ერთ ოთახს ორი გოგონასათვის. ტელ. 22-31-66 ფასი 160 ლარი

ვაქირავებ 4 ოთახიან კეთილმოწყობილ ბინას ჯანაშიას ქუჩაზე. უცხოელებზე. ტელ. 29-32-87

ქირავდება 1 ოთახიანი იზოლირებული ბინა მე-4 სართულზე, ტელეფონით, მეტრო ნაძალადევთან. ტელ. 38-13-89

## ვამზადებ

ვამზადებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს. ტელ. 22-12-70

ვამზადებ სკოლის მოსწავლეებს მათემატიკაში. ბინაზე მისვლით. ფასი 20 ლარი. ტელ. 71-60-05

## ვმკურნალობ

თუ გაწუხებთ ფსორიაზი, გეძლევათ შანსი, მოიშოროთ პრობლემები ამ სენთან დაკავშირებით „პუფა" თერაპიის საშუალებით. რკინიგზის საავადმყოფო, ახალი შენობა, I სართული, 10-დან 15 სთ-მდე. თევდორე მღვდლის 13. (ყოფილი ორჯონიკიძის).

ვმკურნალობთ ალკოჰოლიზმს ერთ დღეში ახალი, დაჩქარებული მეთოდით. ტელ. 96-52-00, სენაკში, სოფელი ნოსირი. შოთა კილასონია.

# ლატარია «დაბადების დღე»
# 12 თებერვლის ლატარიის შედეგები

*მომგებიანი ციფრებია*

1. დაბადების თვე 10
2. დაბადების რიცხვი 28
3. დაბადების წელი 19 (48)
4. ლატარიის ბილეთის ბოლო ორი ციფრი.

| | |
|---|---|
| 1 | 0 |
| 2 | 8 |
| 4 | 8 |
| 5 | 3 |

თვე და რიცხვის გამოცნობისათვის მოგება 10 ლარი თითოეულს. თვე, რიცხვი და წელი - 300-1000 ლარამდე ნივთმოგებები თითოეულს.

ყველა ციფრის გამოცნობისთვის მოგება სუპერ-პრიზი - ავტომანქანა 21-09.

10-ლარიანი მოგებები გაიცემა მეტროს სადგურ „წერეთლის" ვესტიბიულში.

*დანარჩენი მოგებები გაიცემა ფირმის ოფისში*

მის: აღმაშენებლის 89/24 (მეტრო „მარჯანიშვილის" თავზე), თბილქალაქპროექტის შენობა, V სართული, ოთახი 22.

*გისურვებთ წარმატებას შემდეგ გათამაშებაში.*

კომპიუტერული ცენტრი, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით და აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, გთავაზობთ ჟურნალ-გაზეთების, წიგნების, სავიზიტო ბარათების, ნებისმიერი სახის საქმიანი ქაღალდებისა და სხვა სახის ბეჭდვითი პროდუქციის უმოკლეს ვადებში მომზადებას (აწყობა-დაკაბადონება ნებისმიერ ენაზე).

გვაქვს ავტონომიური დენის წყარო.

მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. ჩვენი ტელეფონია:

93-19-99 (11-დან 19 საათამდე) ვმუშაობთ ყოველდღე.

# რა, როდის და რომელ არხზე

## 13 თებერვალი, ხუთშაბათი

**1** 8.00 ალიონი. 18.00 „მოამბე". მერიდიანი. „ჰიგია". სპა. აჭარა. 20.00 „მოამბე". „ვიდეოპატრული 02". „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი". პროგრამა „დღე". 21.20 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კასანდრა" (ვენესუელა). 22.00 „ვესტნიკი" (რუსულ ენაზე). რამპა. ილია ჭავჭავაძე. მრავალსახეობა. 23.50 „ქვიშის საათი".

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი". 19.20 მულტფილმები, სპორტული გადაცემა, ელიტარული ქრონიკა: „ინტერვიუ". 22.00 სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი". 22.30. რუსული მხატვრული ფილმი „ფანჯარა პარიზში". პროგრამის დასასრულს - მუსიკა.

**კავკასია** 12.00 დილის გამამხნევებელი ვარჯიში. 12.15 მულტფილმები. 12.30 რეკლამა და მუსიკა. 14.30 ამერიკული მხატვრული ფილმი. 16.30 საინფორმაციო პროგრამა. რეკლამა და მუსიკა. ჩვენი სტუმარი TBS სტუდია.

**ОРТ** 8.00 Телеканал "Доброе утро ". 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 1.15 Новости. 11.15 "Девушка по имени Судьба ". Сериал. 12.00 Тема. 12.40 Клуб путешественников. 13.25 Мультфильм. 13.35 Смак. 14.10 Майя Булгакова и Вл.Самойлов в фильме "Обочина". 15.50 КВН-ассорти. 16.20 Программа Эд.Радзинского "Загадки истории". "Самозванство на Руси ". 17.20 Мультсериал. 17.45 Марафон-15. 18.10 Тин-Тоник. 18.40 "Нико и его друзья ". Сериал. 19.05 Рок-Урок. 19.35 Вокруг света. 20.15 "Девушка по имени судьба ". Сериал. 21.10 Час пик. 21.35 Джентлмен-шоу. 22.00 Моя семья. 23.00 Время. 23.45 Ирина Метлицкая и Николай Еременко в мелодраме "Роман в русском стиле ". 1.25 Тамара Гвердцители и Мишель Легран в муз. программе "Исповедь ". 2.00 Пресс-экспресс. 2.15 "Метод крекера ". Сериал.

**РТР** 9.00 Утренний экспресс. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 Вести. 10.15. Товары - почтой. 10.25 "Клубничка ". Сериал. 10.55 Дорогая редакция. 11.30 Сам себе режиссер. 12.05 "Санта-барбара ". 13.15 Товары - почтой. 13.25 Деловая Россия. 14.05 За околицей. 14.20 Двойной портрет. 14.50 Ваш партнер. 14.55 Автограф. 15.00 Телескоп. 15.40 Репортер. 15.55 Магазин недвижимости 16.25 "Угрюм-река " 3-я с. 17.30 "К-2 " представляет. 18.25 Эксповестник. 18.30 Н апороге века. 19.55 Иванов, Петров, Сидоров и другие. 20.40 "Клубничка ". 21.10 Момент истины. 21.40 VIP. 22.35 Сам себе режиссер. 23.10 "Санта-барбара ". 0.10 Добрый вечер с И.Угольниковым. 1.30 Подиум Д'Арт. 3.10 Блок-Нот. 3.00 Только для взрослых.

## 14 თებერვალი, პარასკევი

**1** 8.00 ალიონი. 18.00 „მოამბე". „მრავალთათვის საკეთილოდ". 50/50. 20.00 „მოამბე". „ვიდეოპატრული 02". „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი". ასპარეზი. პრეს-სტუდია. 22.00 „ვესტნიკი" (რუსულ ენაზე). 22.20 ლატარია ყველასათვის. ტელე-სინე-ვიდეო. 23.50 „ქვიშის საათი".

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი". 19.20 მულტფილმები, სპორტული გადაცემა. 21.30 სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი". 22.00 ამერიკული მხატვრული ფილმი „დღის შუქი" (მთ. როლში: სილვესტერ სტალონე). პროგრამის დასასრულს - მუსიკა.

**კავკასია** 11.00 დილის გამამხნევებელი ვარჯიში. 11.15 მულტფილმები. 11.30 რეკლამა და მუსიკა. 13.30 იტალიური მხატვრული ფილმი „კაბირიას ღამეები" (რეჟ.ფედერიკო ფელინი, მთ.როლში ჯულიეტა მაზინა). რეკლამა და მუსიკა.

**ОРТ** 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 1.50 Новости. 11.15 "Девушка по имени судьба". Сериал. 12.05 Моя семья. 12.45 Пока все дома. 13.20 Мультфильм. 13.30 Играй гармонь любимая! 14.10 Маргарита Терехова и Валентин Гафт в фильме "Дневный поезд ". 15.50 Док. фильм "Муром". 16.15 Программа Эд.Радзинского "Загадки истории". "Пророчества Казота". 17.20 Мультсериал. 17.45 Фильм-сказка "И еще одна ночь Шахерезады". 19.10 "До шестнадцати и старше. 19.30 Магия: мир сверхъестественного. 20.15 "Девушка по имени судьба". 21.15 Человек и закон. 21.45 Поле чудес. 23.00 Время. 23.45 Коломбо в детективе "Смерть протягивает руку". 1.10 Взгляд. 2.00 Шер в лирической комедии "Зачарованные луной". 3.45 Пресс-экспресс.

**РТР** 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 Вести. 10.15. Медицинский вестник. 10.25 "Клубничка ". Сериал. 11.30 L-клуб. 12.05 "Санта-барбара ". 13.30 Деловая Россия. 14.10 За околицей. 14.25 Момент истины. 14.50 Палиха-14. 14.55 Автограф. 15.00 Субботний вечер с Пеле. 15.55 Магазин недвижимости. 16.20 "Угрюм-река ". 4-я с. 17.35 21 кабинет. 18.00 Золотая карта России. 18.25 Эксповестник. 18.30 Арена для сенсаций. 19.15 Иванов, Петров, Сидоров и другие. 19.55 Там-там новости. 20.05 Лукоморье. 20.25 Посмотри на себя. 20.40 "Клубничка ". Телесериал. 21.10 Вертикаль. 21.40 VIP. 22.35 L-клуб. 23.10 "Санта-барбара ". 0.10 Добрый вечер с И.Угольниковым. 1.30 Кинозал "К-2 ". Худ.фильм "Марта " (Германия). 3.25 "Ночной экспресс " М.Боярского.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვეულებრივი ინტერვიუ არაორდინალურ მათხოვართან, თუმცა, განა მათხოვრობაც ჩვეულებრივ პროფესიად არ იქცა?



*საღამო ხანი იქნებოდა, ქაშუეთის ეკლესიას ჩავუარე, პირჯვარი გადავიწერე და შევჩერდი. ჩემი ყურადღება მიიქცია ერთ-ერთმა ქალბატონმა, რომელიც მოწყალებას ითხოვდა: „- თუ შეიძლება, დამეხმარეთ, გაიღეთ მოწყალება, ღმერთი დაგ...*

*მყისიერად შევჩერდი. ამ ქალის სახეზე ინტელექტის აჩრდილი იყო აღბეჭდილი. სიცივისაგან გალურჯებულ, გამოწვდილ ხელში ხურდები ჩავუყარე და მცირე ხნის ბაასის შემდეგ გავუშინაურდი.*

– ჩემი ვინაობა? მარინე კუჭუხიძე – ერთმანეთში არეული დარცხვენისა და თან გადიზიანებული ტონით მიპასუხა მათხოვარმა.

– **ოჯახი თუ გაქვთ?**

– დიახ: ორი შვილი და მეუღლე. გოგონა მე-19 წელშია, ბიჭი – მე-12-ში. ამჟამად ოჯახიდან წამოსული ვარ.

– **რატომ?**

– მეუღლესთან კონფლიქტის გამო...

– ჩემი დედამთილი და მეუღლე ვერ შეეგუენ იმ აზრს, რომ მსახიობი ადამიანი პატიოსანია. თეატრალური ინსტიტუტი დავამთავრე. მიყვარდა ჩემი პროფესია და ხშირად რეპეტიციებზეც ვეპარებოდი ქმარს. რამაზ იოსელიანმა კიდევაც დამისვა კითხვა გადაცემაში „მარტოსული" – რატომ გაქრით თეატრალური ასპარეზიდან-ო, მაგრამ...

– **როგორ, თქვენ მსახიობი ხართ?**

– კი, ყოფილი.

– **რაიმე განათლება თუ აქვთ თქვენს შვილებს?**

– სალომე სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობს, ამჟამად გათხოვილია.

გიორგი თუმანიშვილის თეატრ „ათხურში" დადის.

– **ამართლებენ თუ არა თქვენს გადაწყვეტილებას შვილები?**

– სალომეს ვერც კი ენახულობ, ქმარი სასტიკი წინააღმდეგია ჩვენი შეხვედრისა. გიორგი და მე პატარა მეგობრები ვართ. ჩვენ ერთად ვწყვეტთ, თუ რა იქნება უკეთესი და ისე ვიქცევით.

– **გჯერათ თუ არა ბედისწერის?**

– ძალიან, გიორგის სულ ვეუბნები – დედი, რაც არ უნდა გაგიჭირდეს, ბედისწერის ხმას მიყევი-მეთქი. კონსტანტინეც ამბობს: „-ერთ ადგილას ვდგავართ და ბოლოს ვკვდებით, მაგრამ კოლოფზე მაინც ვიღაც გვზის და სადღაც მოგვაქანებს"-ო.

– **რამდენი ხანია, მოწყალებას ითხოვთ?**

– ზუსტად აღარ მახსოვს, დაახლოებით, ორი წელი იქნება.

– **თუ გიფიქრიათ სამუშაოს დაწყება?**

– როგორ არა. ერთი თვე აქეთ-იქით დავდიოდი და ვეძებდი, მაგრამ მოგეხსენებათ დღევანდელი პირობები... შემდეგ იმედი გადავიწყვიტე და დაღლილ-დაქანცული ქაშუეთთან ვჯდებოდი-ხოლმე.

– **მეუღლე არ გეხმარებოდათ?**

– ათასში ერთხელ თუ რამეს მოგვაწვდიდა და ისიც ცოტა ხანს გვყოფნიდა...

– **არიან თუ არა ქართველნი მოწყალენი?**

– რა თქმა უნდა, სულაც ერთს აღვნიშნავ და საკმარისი იქნება: შობა დღეს ერთმა ქალბატონმა ასლარიანი ჩექმები მაჩუქა... მამაოსაც ძალიან გაუკვირდა. ღმერთმა შეუწიროს-ო. ხშირად მიფიქრია, საზღვარგარეთ რომ ვცხოვრობდე, შიმშილით მოვკვდები-მეთქი. საქართველო სიყვარულის ქვეყანაა, სადაც ხალხი შრომობს და არსებობისათვის ლუკმა-პურს შოულობს. საქართველოს კონკიასაც ვადარებ, სულ ომია, სულ ერთმანეთს ედავებიან... ბოლოს და ბოლოს წმინდა გიორგის, თამარ მეფის და წმინდა ნინოს ქვეყანაა. მე მწამს და მიყვარს ღმერთი. იგი ყველაფერში მეხმარება... განა ვიფიქრებდი ოდესმე – მე და მათხოვარი? ცხოვრებამ მოიტანა, დრო დადგა ასეთი: „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმე განა, თაფლში ურევს მწარე ნაღველს მტრისას მისი გამოცანა".

მაია დათიაშვილი

*P.S. ამ საუბრის სათაურს, კიდევ ერთხელ მინდა, ძვირფასო მკითხველო, თქვენი ყურადღება მივაქციო.*

*ეს მათხოვარი არაორდინალური და არაჩვეულებრივი იმით გახლავთ, რომ ერთ დროს მსახიობობდა და, ვინ იცის, ვარსკვლავების მოწყვეტაზე ოცნებობდა, მაგრამ ჩვენმა დუხჭირმა დრომ ყველაფერი ჩვეულებრივ მოვლენად აქცია...*

*ერთიც არის, ამ ქალბატონმა ის სახელი დაირქვა, რასაც ის ამჟამად წარმოადგენს, მაგრამ რით არის ის იმ „ჰალსტუხიან მათხოვრებზე" უარესი, რომელნიც ღამით მილიონებს იპარავენ და დღისით კაპიკებით ქველმოქმედებას ეწევიან, სახელი კი კაი კაცებისა აქვთ?..*



ჰორიზონტალური: 3. „დასაჯახებელი" ხელსაწყო; 6. „რუხი ფერის" უღელტეხილი კავკასიონზე; (კ) 8. ზოგისთვის ასასვლელი, ზოგისთვის ჩამოსასვლელი; 9. „შენ", როგორც თმის ცხოველი (რუს.კავშ.); 10. ხორბლის ქვეყანა, რომელიც „საჭიროა" (რუს.კავშ.); 11. „ფინიშთან" მისული „ნალიანი" ჩემპიონატის მატჩი; 12. „საბას" პრიჩინა (ს.); 13. დაკლაკნილი ქვა, რომელიც „სიცხეში არ" აგდია (რუს.კავშ.); 16. „ასაკიდებელი" კარატეს სახეობა; 17. „კეტით" საცემი შეფუთული ნივთი; 18. „სიმებიან საკრავზე დამკვრელი" წელიწადის დრო; 19. გამთბარი ადგილი, სადაც „ქარიშხალი" ვერ აღწევს (რუს.კავშ.); 20. „ტარიანი ბუს" თავგზააბნევა; 21. ქეთო და კოტეს „გაბატონებული" პერსონაჟი; 22. „ბარში გასახდელი კაბა".

ვერტიკალური: 1. „სალაროში" მომუშავე ტელესერიალის გმირი (რუს.კავშ.); 2. „სხვისი ტორიანი" სოფელი საჩხერეში; 4. „ასჯერ" უფრო მეტი „ტორიანი" სასტუმრო ვიდრე სხვა; 5. „ის" წარსული, რომელიც ამჟამად „ორია"; 6. ერთ-ერთი „პლანეტის კურიოზი" მომღერალი; 7. ტელევიზორის ყურების დროს ყელში ამოსული მასალა; 14. „სილაზე მაზიანზე" მოგებული მშვენიერება; 15. ის, ვინც აგური და ქვა ახსენა (კინოფ.).

## წინა ნომრის კაიფვორდის პასუხები

თარაზულად: 5. ავტოგრაფი; 11. ანიმალური; 14. პათოსი; 15. მეტრი; 16. ალუმინი; 19. მონარქი; 21. ტირი; 24. აბსურდი; 27. მიქსტურა; 28. ავტოსტრადა; 29. ომი; 30. ლუპარა; 32. მარშალი; 36. ტორეადორი; 37. მისია; 38. ლაფსუსი; 39. ავტორი; 40. მწარე; 41. ეკიპაჟი.

შვეულად: 1. მათუსალა; 2. მასშტაბი; 3. მაგნოლია; 4. პარაშუტი; 6. ვამპირი; 7. ოპიუმი; 8. ალპური; 9. მენზურა; 10. ლამპიონი; 12. რეალისტი; 13. მონტიორი; 17. ამბულატორია; 18. ორბიტა; 20. ნადი; 22. რეგალია; 23. მასკარადი; 25. მუსონი; 26. მაკულატურა; 27. მარიაჟი; 31. პარკეტი; 33. მაქსველი; 34. ბატკანი; 36. დოლინა; 37. მასაჟი.

ვიწყებთ უფასო განცხადებების გამოქვეყნებას

დაგვირეკეთ ყოველდღე: 93-18-41

**ამ ჩვენს უხეშსა და ცივსისხლიან ეპოქაში, როცა ესოდენ გაუცხოვდნენ ადამიანები ერთმანეთისათვის, გადავწყვიტეთ მივბრუნებოდით იმ მარადიულ თემას, რასაც სიყვარული ჰქვია.**

**გთავაზობთ ახალ რუბრიკას — გამოჩენილ ადამიანთა სასიყვარულო ბარათები.**



### ნაპოლეონი – მარია ვალევსკაიას

დგება ხოლმე ჟამი, როცა წარჩინებული მდგომარეობა გაბეჩავებს – სწორედ ამას განვიცდი ახლა. როგორ დავაცხრო გულის ფორიაქი, რომელსაც სწადია თქვენს ფეხებთან დაენარცხოს, მაგრამ მის ამ სწრაფვას ხელს უშლის „უმაღლესი აზრების" გათვალისწინება. ეს არის ზღუდე, რომელიც უმოქმედოს ხდის ამქვეყნად ყველაზე მგზნებარე სურვილს.

ო! ნეტავი მოისურვებდეთ! თქვენ, მხოლოდ თქვენ ერთს ძალგიძთ მოსპოთ ჩვენს შორის არსებული დაბრკოლება. ჩემი მეგობარი დიუროკი გაგიადვილებთ ქმედებას.

ო, მოდით, გთხოვთ, მოდით ჩემთან, ყველა თქვენი სურვილი შესრულებული იქნება, თქვენი მამული ჩემთვის ძვირფასი გახდება, როგორც კი ჩემი საცოდავი გულის მიმართ მოწყალებას გაიღებთ.

იანვარი, 1807 წ.

მარია, უტკბილესო მარია, ჩემი უმთავრესი ფიქრი შენ გეკუთვნის, ჩემი უმთავრესი სურვილიც – ხელახლა შენი ხილვაა. ხომ მოხვალ ისევ? შენ მე ამას შემპირდი. თუ ასე არ იქნა, თავად არწივი მოფრინდება შენთან. მე უნდა გიხილო სუფრასთან – ეს დაპირება მიღებული მაქვს.

ინებეთ ეს თაიგული – იგი იქნება ჩვენი სიყვარულის საიდუმლო მოწმე ადამიანური ყოფის ამ ორომტრიალში და საწინდარი ჩვენი ფარული ურთიერთობისა. ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს გავუგოთ. როცა მე ხელს მივიდებ მკერდზე, შენ გეცოდინება, რომ მთელი არსებით მოვისწრაფი შენთან, ამის პასუხად ყვავილთა ეს თაიგული ჩაიხუტე გულთან. ჩემო მშვენიერო მარია, დაე, შენი ხელი ყოველთვის ეხებოდეს ამ თაიგულს.

(პირველი პაემანის მეორე დღე, 1807 წ.).

### ნაპოლეონი – იმპერატრიცა მარია-ლუიზას

ჩემო სახელოვანო ლუიზა, მივიღე შენი ბარათი, საიდანაც დავინახე, რომ ძალიან გულნატკენი ხარ, ამან ჩემი მწუხარება კიდევ უფრო გაამძაფრა.

მოხარული ვარ, რომ კორვიზარი (სასახლის ექიმი) კმაყოფილია შენით. მე უსაზღვროდ მადლიერი ვარ მისი, იგი თავისი კეთილშობილებითა და ზრუნვით ამართლებს ჩემს იმ წარმოდგენას, რომელიც მის შესახებ მქონდა. სთხოვე მას, ხშირად გამომიგზავნოს ხოლმე პატარა ბიულეტენები შენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ეცადე დაუყოვნებლივ წახვიდე ეკსში, როგორც გადმომცეს, აქაური წყლების მიღება გირჩია კორვიზარმა, იყავი ჯანმრთელად, იზრუნე საკუთარ თავზეც და ვაჟიშვილზეც, რომელიც საჭიროებს შენს მოვლასა და მფარველობას.

ვაპირებ გავემგზავრო კუნძულ ელბაზე. იქიდან მოგწერ წერილებს, ყოველნაირად ვეცდები გინახულო.

მომწერე ხოლმე ხშირად, ბარათები გამოგზავნე ბიძაშენის, ვიცემეფის მისამართზე. იგი, როგორც ამბობენ, გახდება ტოსკანის დიდი ჰერცოგი.

მშვიდობით, ჩემო საყვარელო ლუიზა-მარია!

ფონტენებლო, აპრილი, 1814,
8 სთ. საღამო

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444